საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 2 აგვისტო, 2013 წელი.

№145 (7272)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

საქართველოს სახელით

ვირტუალური სასამართლო ადგენს

7

პოლიტიკური ცნობარი ყმაწვილთათვის 3

ანუ კითხვები პრეზიდენტობის კანდიდატს დავით ბაქრაძეს

კიდევ ვინ შევა „კუტუზკაში“?

„სააკაშვილმა უკანონობას მწვანე შუქი აუნთო და პასუხი უნდა აგოს“ 6

ვის მიხედავს ბურჯანაძე?

„გაიტანეთ ეს მეტეორიტული ნაგავი და მოწმინდეთ გამდნარი თოვლი!“ 4

პოლიტიკური „ტაქსების“ 4 წკავწკავი და მარადიული გენიოსები

ანუ სააკაშვილის მორიგი დემაგოგია

სიმართლის მთქმელი, 5 რომელსაც ცხენი არ ჰყავდა,

ანუ რატომ ერიდება ქუჩაში გამოსვლას ფილოლოგიის დოქტორი

დავინახოთ რეალური საქართველო!

8

ჯანს და ბიზნესს გადაყოლილი საცხოვრისები... 7

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ალიან-ჩალიანი

სჯობს პრეზიდენტი შეეშვას არაადეკვატურ განცხადებებს!

საძართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებას ელექტროენერგიის იმპორტთან დაკავშირებით გამოეხმაურა.

როგორც კახა კალაძემ ბათუმში ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ელექტროენერგიის იმპორტთან დაკავშირებით პრობლემები არ შექმნილა და პრეზიდენტი უნდა შეეშვას არაადეკვატურ განცხადებებს.

— მინდა გამოვეხმაურო ჯერ კიდევ პრეზიდენტად წოდებულ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას იმის შესახებ, თითქოს პრობლემებია ელექტროენერგიის იმპორტთან დაკავშირებით. მე მინდა მას მოვუწოდო, შეეშვას უაზრო, არაადეკვატურ განცხადებებს, რადგან ეს ყველაფერი სიმართლეს არ შეესაბამება. მე მას დავაიმედებ, უახლოს მომავალში, სადაც ეს ადამიანი იქნება, იქ შუქიც იქნება, გაზიც და ძალიან ბევრი დრო ექნება იმისთვის, რომ გაიაზროს თუ ბოლო წლების განმავლობაში რამხელა დანაშაული ჩაიდინა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის წინაშე მან და მისი გაქსუებულ-გაზულუქებული ჩინოვნიკების ნაწილმა, — აღნიშნა კახა კალაძემ.

საქართველოს პრეზიდენტმა მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლების კლების კომენტირებისას განაცხადა, რომ წელს შესაძლოა დენის იმპორტის თვალსაზრისით პრობლემები შეიქმნას.

ზოგიერთ პოლიტიკოსს ხალხი კაბინეტიდან გამოათრევს და ჩაქოლავს!

— ინფორმაცია მაქვს, რომ ძიებას შეკვეთილი აქვს უდანაშაულო სამღვდელოებას რამე მიუსაჯონ, — ამის შესახებ „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ სასულიერო პირების სასამართლო პროცესის დაწყებამდე თბილისის საქალაქო სასამართლოსთან ჟურნალისტებს განუცხადა.

— ინფორმაცია მაქვს, რომ ძიებას შეკვეთილი აქვს როგორმე, რაიმე მიუსაჯონ უდანაშაულო სამღვდელოებას იმისათვის, რომ ამით თავი მოიწონონ საზღვარგარეთ. ამიტომ ჩემი პროგნოზი არ არის მაინ-

ცდამაინც ოპტიმისტური. თუმცა მათ ასევე აქვთ შიში და სამართლიანად აქვთ შიში, რომ ხალხი ამას არ აპატიებს. იციან, რომ ხალხმა შეიძლება გამოათრიონ კაბინეტებიდან და ჩაქოლონ. ეჭვი მაქვს, რომ ასეც იქნება. ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად ვიცი, ზოგიერთი პოლიტიკოსი აეროპორტამდეც ვერ მიასწრებს, თუკი სასულიერო პირების გამამტყუნებელი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, — განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით ბრალდებული სასულიერო პირების ადვოკატები საქალაქო სასამართლოში დაგეგმილ პროცესზე ბრალის შეწყვეტის შუამდგომლობას დააყენებენ.

17 მაისს, რუსთაველის გამზირზე, ლგბტ აქციის წინააღმდეგ მიმართული აქციის დროს განვითარებულ მოვლებთან დაკავშირებით ბრალდებულია ხუთი პირი, მათ შორის ორ სასულიერო პირს - ანთიმოზ ბიჩინაშვილს და ირაკლი ბასილაიას სისხლის სამართლის კოდექსის 161-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს ედავებიან, რაც მანიფესტაციის უფლების შეზღუდვას და უკანონოდ ხელის შეშლას გულისხმობს.

საია პრეზიდენტის ადმინისტრაციას, შსს-სა და თბილისის მერიას უჩივის

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პრეზიდენტის ადმინისტრაციის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თბილისის მერიის წინააღმდეგ საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებებით მიმართა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ორგანიზაციიდან აცნობეს, საქმე ეხება საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის და მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულყოფილი სახით გაცემის ფაქტებს.

— აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოებიდან საია ითხოვდა ინფორმაციას, 2011 წლის 1 იანვრიდან შეძენილი და ჩუქების სახით მიღებული ყველა ავტო-სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალის, შეძენის, ჩუქების თარიღისა და გადახდილი თანხების ოდენობის შესახებ. წარდგენილი განცხადებებით საია ასევე ითხოვდა ყველა იმ სამართლებრივი აქტის გაცემას, რომლის მიხედვითაც, შესაბამის დაწესებულებაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესი განისაზღვრება.

მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის შემდეგ, საიამ განმეორებით მიმართა, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, ისე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, აღნიშნული უწყებების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა დღემდე არ მომხდარა. რაც შეეხება თბილისის მერიას, განმეორებით განცხადების წარდგენის შემდეგ, თბილისის მერიამ მხოლოდ ნაწილობრივ გასცა მოთხოვნილი ინფორმაცია და არ მიუთითა თითოეულ ავტომობილში გადახდილი თანხის ოდენობა, — აცხადებენ ორგანიზაციაში.

ამასთან, საია მოუწოდებს ყველა ადმინისტრაციულ ორგანოს, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს საჯარო ინფორმაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაცემის ვალდებულებას და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დაინტერესებული პირების მიერ საჯარო ინფორმაციის მიღების უფლებას.

ინტერპრესი

◎ დია წერილი

სხვა საქართველო სად არის?!

ანუ რა უნდა ეწოდოს ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს ყველა ენაზე!

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბიძინა ივანიშვილს
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
დავით უსუფაშვილს
საქართველოს იუსტიციის მინისტრს
თეა წულუკიანს

მთავარ სათქმელზე გადასვლამდე, თავს უფლებას ვაძლევ, უპრეტენზიო მოსაზრება გამოვთქვა ჩვენი ქვეყნის ისტორიული სახელწოდებების თაობაზე. თანაც, როგორც ერთი რიგითი ეკონომისტი, წინასწარ ვთხოვ პატიებას ყველას იმ შესაძლო უზუსტობებისთვის ამ მსჯელობისას რომ შეიძლება დავუშვა.

ისტორიული თვალსაზრისით, ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია იწყება „კოლხეთის“ სამეფოს (ეგრისის სამეფოს) ეპოქით (ძვ.წ. XVI-XV საუკუნეები). ამასთან, არსებობის სრული უფლება აქვს ვერსიას, რომ საქართველოს გაცილებით ადრეულ ეპოქაში „იბერია“ ერქვა (ძვ.წ. IV-III საუკუნეები) და თავისი ისტორიის ხანგრძლივობით განსაკუთრებული ადგილი უკავია მსოფლიოს უძველეს სახელმწიფოთა შორის. უფრო მეტიც, მეცნიერთა გარკვეული ნაწილის აზრით, მსოფლიოში ადამიანთა მოდგმის გავრცელების მთავარი კერა კავკასიაა, საიდანაც გაიფანტნენ ისინი მთელს ევროპასა და ამერიკაშიც. ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან, ჩვენს ქვეყანას, „კოლხეთის“ სამეფოს ნაცვლად, „ეგრისის სამეფო დაერქვა, რომლის ტერიტორიაზე, მის აღმოსავლეთ ნაწილში გაჩნდნენ დამოუკიდებელი „იბერიისა“ (დღევანდელი ქართლ-კახეთი) და „ალბანეთის“ (დღევანდელი აზერბაიჯანი) სამეფოები. მხოლოდ 15 საუკუნის შემდეგ, ანუ XI საუკუნეში გაერთიანდა „იბერიისა“ და „ეგრისის“ სამეფოები ერთ ქვეყნად და მას „საქართველო“ ეწოდა. იგი თავის შემადგენლობაში, „ლაზეთ-ჭანეთისა“ და „ჰერეთის“ ჩათვლით, 25 ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს აერთიანებდა.

ჩვენი ქვეყნის — საქართველოს სახელწოდების თემასთან დაკავშირებით, ჩვენზე გაცილებით ადრე, უფრო კომპეტენტურად, სხვებსაც გამოუთქვამთ თავიანთი მოსაზრებები, რომ დღევანდელ საქართველოს დაერქვას მისი რომელიმე ისტორიული სახელი („იბერია“, „ეგრისი“, „კოლხეთი“ და ა.შ.), რაც ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია. ამ პრობლემების დეტალურ განხილვას და საკუთარი პოზიციების დასაბუთებას, რა თქმა უნდა, მთლიანად ეს გაზეთიც არ ეყოფა და ამიტომ მასზე მსჯელობა, დროებით უნდა გადავდოთ.

ახლა კი მთავარი სათქმელი: ღმერთმა არ ქნას, მაგრამ თუ გარკვეულ სპეციალისტებს და, მათ შორის, დემოგრაფებს დავუჯერებთ, XXII საუკუნეში აღარც ქართველები ვიქნებით ამ პლანეტაზე და აღარც საქართველო შემორჩება მსოფლიო რუკაზე. რა თქმა უნდა, ამ ვერსიის მე არ მჯერა, მაგრამ, რადგან ნებისმიერ ვერსიას აქვს არსებობის უფლება, განგაშის ზარები უნდა დავარისხოთ ყველამ და შევეჯიბროთ ერთმანეთს ქართული საქმეების კეთებაში.

უპირველესი, რაც სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს, არის ქართული ენის სახელმწიფო პალატის აღდგენა. ვინც ამ თემასთან დაკავშირებით წინააღმდეგობას გაბედავს და ბიუჯეტის პრობლემებსა და სათანადო ასიგნების უქონლობას მოიმიზეზებს,, მას ქართველმა ხალხმა საკადრისი უნდა მიუზღოს (საჭიროების შემთხვევაში კონკრეტულ წყაროს მე დავუსახელებ).

მეორე, შედარებით რთულ, მაგრამ აბსოლუტურად გადამწყვეტ საკითხად (პრობლემას შეგნებულად არ ვუწოდებ) მესახება ის, რომ მსოფლიო რუკაზე, რა ენაზეც არ უნდა იყოს ის შედგენილი, საქართველოსთან მიმართებაში დამკვიდრდეს ერთადერთი საკუთარი სახელი — საქართველო.

მოგეხსენებათ, რომ მსოფლიოს ქვეყნების დიდ უმრავლესობას, ყველა ენაზე ერთი, ანუ თავისი საკუთარი სახელწოდება აქვს. საქართველო კი, მსოფლიოს ეს უძველესი ქვეყანა, ამ თვალსაზრისითაც იშვიათი გამონაკლისია, რადგან ჩვენს ქვეყანას ყველამ თავისთვის მოსახერხებელი სახელი დაარქვა.

დადგა დრო, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნას კომპეტენტური სახელმწიფო კომისია, რომელიც სათანადო სამუშაოების ჩატარების კვალობაზე მიაღწევს, რომ ჩვენს ქვეყანას, მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს ,,საქართველო“!

„საქართველოს“, „ქართულის“, „ქართველის“ გადარჩენის სხვა უამრავი პრობლემა არსებობს, რომელთა ირგვლივ, საბედნიეროდ ბევრ ქართველ მოღვაწეს აქვს გამოთქმული თავისი მოსაზრებები და კონკრეტული წინადადებები. გვჯერა, რომ დღევანდელი ხელისუფლების მოქმედი და მომავალში ამ მიზნით შესაქმნელი სტრუქტურები უყურადღებოდ არ დატოვებენ ამ საგანძურს და ყოველ ღონეს იხმარენ ზემოთ აღნიშნული სამი ფუნდამენტური ცნების გადასარჩენად.

პატივისცემით,
ანზორ ბაბუხადია,
საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი,
„დედაენის“ საზოგადოების დამფუძნებელთაგანი,
გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელი,
ღირსების ორდენოსანი, იაკობ გოგებაშვილის
მედლის, ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიისა და
ზურაბ ანჯაფარიძის საერთაშორისო ფონდის ოქროს
მედლის ლაურეატი.

P. S. საბჭოთა პერიოდში, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, როგორც წესი, იმავდროულად, ქართული ენის დაცვისა და ნორმების დადგენის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე იყო.
ა. ბ.

◎ სტატისტიკა

ნოდარ ხადურის განცხადებით ეკონომიკა შემცირებული არ არის

ამის შესახებ ხადურმა ჟურნალისტებს ეკონომიკური ზრდის -08%-იანი მაჩვენებლის შესახებ საუბრისას განუცხადა.

„პირველი, რაც შემიძლია ვთქვა, ისაა, რომ ეს არის წინასწარი მონაცემები და სტატისტიკის ეროვნული სამსახური მას მინიმუმ ორჯერ დააზუსტებს. ერთი შემიძლია გითხრათ, რომ ეს მონაცემი საერთოდ არ ითვალისწინებს სოფლის მეურნეობაში არსებულ მდგომარეობას, რაც ვფიქრობ, რომ არასწორია და ხელოვნურად არის შემცირებული. ერთი რამ ძალიან მნიშვნელოვანია — დღეს ჩვენ ვიმყოფებით ახალი ინვესტიციის დაწყებაზე და ასეთი ინვესტიციები ძალიან ხშირად და ძალიან ბევრი ხორციელდება, რაც იმის დასტურია, რომ ეკონომიკაში გრძელვადიანი, მდგრადი აღმავლობის ხანა იწყება. შემცირებული არ არის ეკონომიკა, პირველი ექვსი თვის განმავლობაში ეკონომიკურმა ზრდამ სოფლის მეურნეობის გარეშე დაახლოებით, 2% შეადგინა“, — განაცხადა ხადურმა.

◎ პროფკავშირები

უცხოური კი არა, ადგილობრივი წარმოების პროდუქტები გვჭირდება!

გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის, მსუბუქი, კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის VI რიგგარეშე საანგარიშო ყრილობა, რომელსაც დელეგატებთან ერთად საქართველოს რეგიონებიდან მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

მომხსენებლებმა, დარგის პროფკავშირების თავმჯდომარემ გელა ძაბილაშვილმა, თავმჯდომარის მოადგილემ კლარა მაჭარაშვილმა, სიტყვით გამომსვლელმა დელეგატებმა ილია არძენაძემ (აჭარა), ანატოლი გიორგაძემ (თბილისი), კუკური ჩოგოვაძემ (ქუთაისი), მერი შონიამ (ზუგდიდი), მაკა შერაზადაშვილმა (ბორჯომი), საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა ალექსანდრიამ და სხვებმა ისაუბრეს დარგის პროფკავშირებში გაწეული და მიმდინარე მუშაობის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში სოფლის მეურნეობის დარგი პრიორიტეტული უნდა იყოს, რომ უცხოური პროდუქტებით კი არ უნდა გვქონდეს გაჯერებული ბაზარი, არამედ ქართული პროდუქციით...

გაიმართა არჩევნები დარგის პროფკავშირების თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს გელა ძაბილაშვილი, მოადგილედ კლარა მაჭარაშვილი, ასევე აირჩიეს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების XII საანგარიშო-საარჩევნო ყრილობის დელეგატები.

ნანა ჭიჭინაძე

პოლიტიკური ცნობარი ყმაწვილთათვის

ანუ კითხვები პრეზიდენტობის კანდიდატს დავით ბაქრაძეს

თვითცნობიერების უნარის გამოვლენა იქნებოდა, თუკი ეგრეთ წოდებული ნაციონალური მოძრაობის ნებისმიერი წარომადგენელი, საერთოდ, დატოვებდა პოლიტიკურ სარბიელს. — რატომ? — ამაზე პასუხი უკვე გასცა მათმა ათწლიანმა თავხედურმა პარპაშმა. მაგრამ რაკი მათი ერთ-ერთი ლიდერი არ იშლის პოლიტიკურ საქმიანობას, მასთან გვექნება შემდეგი კითხვები:

1. როდესაც სააკაშვილი ძვეყნისთვის საზიანო ნაბიჯებს დგამდა, რატომ იყო ბაძრაძე გაჩუმებული?

იქნებ ითქვას, ეშინოდაო.

ჯერ ერთი, მშიშარა პრეზიდენტი ხალხს არ გამოადგება, მაგრამ აქ სხვა ფაქტორი მოქმედებს: — შექმნილი მდგომარეობის გაუცნობიერებლობა. **ესე იგი, ბაქრაძის ცნობიერების უნარი ძალზე სუსტია** ან, საერთოდ, არ არსებობს.

ურყევი დებულებაა — ადამიანის ქცევის მამოძრავებელი ძალა — გაცნობიერებული ჭეშმარიტებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაზე მშიშარა ადამიანიც კი,თუკი მან მოვლენა სწორად გაიცნობიერა, მოქმედებს ისე, როგორც ჭეშმარიტება უკარნახებს. გავიხსენოთ ჯორდანო ბრუნოს თავდადება ჭეშმარიტებისადმი.

სააკაშვილი დღენიადაგ ტრაბახობს — ბიუჯეტი რამდენჯერმე გავზარდეთ და ქაოსურ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში რკინისებური დისციპლინა დავამყარეთ. ბაქრაძეც პატრონის მოსაზრებას წამდაუწუმ იმეორებს, საკუთარი ხედვა, ანალიზის უნარი არა აქვს. მთვარიდან ხომ არ არის ჩამოფრენილი, საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ რომ არაფერი სმენია. ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ერი კატასტროფის წინაშე იდგა. განუკითხაობამ, ძალადობამ და ქაოსმა ყველაფერი მოშალა, ბიუჯეტი მთლიანად დააცარიელა. ბაქრაძე და საკაშვილი იმ დროს შიშით გარეთ თავს ვერ ჰყოფდნენ, ხოლო მდგომარეობის ნაწილობრივ გამოსწორების შემდეგ სააკაშვილი და მისი ბანდა საბოტაჟს ეწეოდნენ, რაც დემოკრატიულ სახელმწიფოშიც კი სასჯელის უმაღლესი ზომით განისაზვრება.

სწორედ ასეთ პირობებში (საბოტაჟი, სამოქალაქო დაპირისპირება)საქართველოში განხორციელდა რიგი სტრატეგიული პროექტები, ხოლო 1999 წელს რუსეთთან მიღწეულ იქნა შეთანხმება — სამხედრო ბაზების უმოკლეს დროში საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის თაობაზე. ნუთუ ყოველივე ამას ვერ აცნობიერებს ბაქრაძე? — თუმცა, არც არი გასაკვირი — ის ხომ სააკაშვილის თვალით ხედავს, მისი ყურით ისმენს და მისი ჭკუით აზროვნებს.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ბოლო დროს ბაქრაძის გამოსვლებში შეიმჩნევა სააკაშვილის ნავიდან ამოხტომის მცდელობა. ამ შემთხვევაში ბაქრაძე ემსგავსება ახლად დაბადებულ ბავშვს, რომელმაც ეს-ეს არის დაიწყო გარემოს გაცნობიერება. ალბათ ეს პროცესი მას დაეწყო 10 თვის წინათ, ესე იგი შარშან, პირველი ოქტომბრიდან. **განა შეიძლება სახელმწიფოს მართვა 10 თვის „ბავშვს“ ჩავაბაროთ?!**

ბაქრაძეს და სააკაშვილს ჰგონიათ, ხალხი ვერ აცნობიერებს, თუ რა ხერხებით ივსებოდა ბიუჯეტი? - სტრატეგიული ობიექტების გასხვისებით, ქართული მიწების, ტყეების, ეროვნული სიმდიდრეების გაყიდვით და ბიზნესმენების დაყაჩაღებით. საქართველო, ყველა გამვლელის თავშესაფრად აქციეს. ახლახან პარლამენტმა დროულად მიიღო კანონი მიწების უცხოელებზე მიყიდვის აკრძალვის შესახებ. თუ წინა მთავრობის პოლიტიკას არ დავამუხრუჭებდით, ამ კუთხით, დღეს მიწების მომეტებული ნაწილი უცხოელების ხელში აღმოჩნდებოდა.

ამჟამინდელ მთავრობასაც არ გაუჭირდება ბიუჯეტის შევსება, თუ სააკაშვილის მეთოდს გამოიყენებს, მაგრამ ეს მეთოდი უმოკლეს დროში ქართველ ერს აღგვის პირისაგან მიწისა.

წესრიგის დამყარება სააკისტებმა შეძლეს მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ერის დათრგუნვის ხარჯზე. მოგეხსენებათ, დათრგუნვილი ერი კაცობრიობისთვის, როგორც ექიმები იტყვიან, უცხო სხეულია, რაც გამოდევნილი უნდა იქნეს ორგანიზმიდან.

სააკაშვილს ერის წინაშე უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი და შეცდომა დაშვებული. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მხოლოდ რამდენიმე მათგანზე გაგვცეს პასუხი ბაქრაძემ.

2. კოდორის ხეობაში ძართული შინაგანი ჯარების შეყვანა სწორი იყო თუ დანაშაულის ტოლფასის შეცდომა?

3. ძუთაისში პარლამენტის გადატანა გარეშე არაკეთილმოსურნეთა კარნახით მოხდა თუ ძვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზნით?

თუ ამ კითხვაზე ბაქრაძეს პასუხის გაცემა გაუჭირდება, მეზობლის ბავშვისაგან ითხოვოს ისტორიის სახელმძღვანელო (XX ს), გადაშალოს გვერდი (70), სადაც მოთხრობილია 1918 წლის დეკემბრის ამსახველი მოვლენების შესახებ. ზერელედ წაკითხვის შემთხვევაშიც კი, ვფიქრობ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სკოლის მოწაფესაც არ გაუჭირდება.

4. 2008 წლის აგვისტოში ვინ იყო ომის წამომწყები?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ბევრს უჭირს. მით უმეტეს, ნაციონალებს, რომელთათვისაც მოვლენის ღრმა ანალიზი უცხო ხილია. ამიტომ ამ ომის შესახებ გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებას, ხოლო სააკაშვილის მოსაზრება ისედაც საყოველთაოდ ცნობილია. რომელ მოსაზრებასაც დაეთანხმება ბატონი დავითი, ამით ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიღებულად ჩაითვლება.

ომის ანალიზს ძალიან შორიდან არ დავიწყებ,არც სიღრმისეულად ჩავწვდები მის პერიპეტიებს, ვინაიდან ასეთ ვითარებაში ამ თემის ანალიზს მრავალგვარიანი სტატიის დაწერა დასჭირდება.

უდავოა, სააკაშვილმა პირველმა გასცა ბრძანება ცხინვალის დაბომბვის შესახებ, სადაც მოსახლეობასთან ერთად ეგრეთ წოდებული რუსი სამშვიდობოებიც იმყოფებოდნენ. მოგეხსენებათ, ზესახელმწიფო ერთი ჯარისკაცის მკვლელობისთვის ათმაგად იძიებს შურს.

გამოდის, სააკაშვილმა ომი რუსეთის წინააღმდეგ (განა ამას გაბედავდა?) კი არ დაიწყო, არამედ ოსი სეპარატისტების წინააღმდეგ. ვფიქრობ, რუს გენერლებს საქართველოს არაკეთილმოსურნე გარეშე ძალები შთააგონებდნენ, რომ თავი ისე დაეჭირათ, საქართველო-ოსეთის კონფლიქტში რუსეთი არ ჩაერეოდა. სავარაუდოა, რუსი გენერლები ამ შემოთავაზებას უანგაროდ არ მიიღებდნენ. შედეგად, სააკაშვილი მათ მიერ დაგებულ მახეში ორივე ფეხით გაება. **აკი ცხინვალის დაბომბვის პირველ დღეს ხბოსავით აღტკინებული სააკაშვილი ტელევიზიით გამოვიდა და საზოგადოებას გახარებულმა აუწყა: რუსეთი ამ კონფლიქტში ნეიტრალიტეტს იჭერსო.** გაუშვით არქივში შემონახული ფირი და, რომ იტყვიან, ურწმუნო თომაც კი აღიარებს ჩემს მოსაზრებას.

5. სამალავებში აღმოჩენილი იარაღები პარტიზანული ომისთვის იყო გამიზნული თუ მას სხვა დანიშნულება ჰქონდა?

სააკაშვილმა აღიარა, რომ სამალავებში კასრებით იარაღი მისი ბრძანებით შეინახეს. მიზანიც დაასახელა — რუსეთის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში პარტიზანული ომის წარამართვად. თუნდაც რამდენიმე ასეული ავტომატური იარაღით და ხელყუმბარით შეიძლება რაიმე წინააღმდეგობის გაწევა ისეთი სახელმწიფოსთვის, რომელმაც შეიარაღება კოსმოსში გადაიტანა? **რას იტყვის ამის თაობაზე ბატონი ბაქრაძე?** — თუმცა რა უნდა თქვას, როცა **მან ქართველ ხალხს დანა-ჩანგლის აღებისკენ მოუწოდა, რათა მედგარი წინააღმდეგობა გაეწია რუსული არმიებისთვის.** პრეზიდენტობის კანდიდატი სამხედრო საქმეში ამგვარ უმეცრებას არ უნდა ამჟღვნებდეს.

6. ბაძრაძემ, საერთოდ, პასუხი უნდა გასცეს სააკაშვილის თვითნებურ ძცევებზე, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა და ძვეყანამ მძიმე დარტყმა მიიღო — გაიფლანგა ასეულ მილიონობით ლარი.

დავუშვათ, ბაქრაძემ ამ ათი თვის განმავლობაში ყველაფერი გაისიგრძეგანა, სააკაშვილის მიერ დაშვებული შეცდომები და ჩადენილი დანაშაულებები გაიცნობიერა და შედეგად გონება უეცრად გაუნათლდა, ამ შემთხვევაში მას შემდეგ კითხვებს დავუსვამდი:

1. რომელი პილიტიკურ-ეკონომიკური ფორმაცია მიესადაგება დღევანდელ საქართველოს?

აშკარაა, დღეს დამკვიდრებული ცხოვრების წესები (ფორმაცია) საქართველოს კრიზისიდან ვერ გამოიყვანს, თუნდაც ხელისუფლებაში მოვიდნენ ფრიად ნიჭიერი და პატიოსანი ადამიანები. უპირველესად საჭიროა შემუშავდეს რეალობისათვის შესატყვისი პოლიტიკურ—ეკონომიკური ფორმაცია.

პასუხის გაცემის გასაიოლებლად ბაქრაძეს შევახსენებდი, რომ დღეისთვის მსოფლიოში გამოყენებულია სამი პოლიტიკური მიმდინარეობის ნაზავი — **ლიბერალისტურის (ლობერალური), სოციალისტურის და ეტატისტურის.** ბატონი დავითი რომელ პოლიტიკურ მიმდინარეობას მისცემდა უპირატესობას? — ბუნებრივია, სამიდან აირჩევს ერთ-ერთს, მაგრამ მოუწევს არჩეულის რელობისთვის გამოსადეგიანობის დამტკიცება მეცნიერულად, ფილოსოფიურად და სამყაროსეული გაგებითაც კი, მაგრამ ცოტა ეჭვი მეპარება — ამგვარ მაღალ მატერიებში გარკვევა რომ შეძლოს ბაქრაძემ, — როცა, ცოტა ხნის წინათ, სააკაშვილის უგუნურ გამონათქვამებს აღფრთოვანებით ეთანხმებოდა.

2. დაგვისახელოს პირველი და მეორე რიგის გადასაწყვეტი პრობლემები.

ეს აუცილებელია, ვინაიდან ქვეყანაში სასიცოცხლო რესურსები ძლიერ შემცირებულია, ერმა კრიზისს თავი რომ დააღწიოს, საჭიროა, გამოცხადდეს საყოველთაო ეროვნული თვითშეზღუდვა, რაც დაგვავალდებულებს უპირველესად სახსრები გამოიყოს ერის გადასარჩენად — გაუარესებული დემოგრაფიის გამოსასწორებლად, მიგრაციის შესაჩერებლად და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაწყვეტად. ცნობილია, სააკაშვილის მთავრობა ასეთ მძიმე პირობებში უამრავ თანხას ხარჯავდა ნაკლებმნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაზე. მეტიც, სააკაშვილის დროს ტარებასა და იმისი იმიჯის შექმნაზე. ამ მხრივ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებიც არ ჩამორჩებოდნენ პრეზიდენტს.

3. დაგვისახელოს კრიზისის გამომწვევი ობიექტური მიზეზები.

ქართველი ერისთვის უმნიშვნელოვანესი პერიოდებია: 1918-21წ.წ; 1986-91წ.წ; 1991-2003წ; და 2003 ივლისიდან დღემდე მოყოლებული წლები.

4. გააანალიზოს თითოეული პერიოდი და სათანადო დასკვნები გამოიტანოს.

ეს აუცილებელია. მაგალითად, დღემდე, მიჩქმალულია 1918-21 წლების პოლიტიკურ მოღვაწეთა საქმიანობა. არადა, მსოფლიოს გამოჩენილი ექსპერტების აზრით, ხსენებული პერიოდი ქართველებისთვის მცირე ოქროს ხანაა, ხოლო იმჟამინდელი მთავრობა პირველი ქართული ნაციონალური, დემოკრატიული სახელმწიფოს დამაარსებელია. მიუხედავად ამისა საქართველოში ღირსეული მამულიშვილების ლანძღვა-გინება კვლავ გაისმის. მათი სახელობის არც ერთი ქუჩა არ არსებობს, ხოლო ურაპატრიოტები ეროვნულ გმირებად არიან გამოცხადებულნი, რომლებმაც ქვეყანა დააქციეს და ჩააოხრეს.

რასაკვირველია, ამ უსამართლობას ნათელი უნდა მოჰფინონ საღად მოაზროვნე პოლიტიკოსებმა. უწინარესად კი — პრეზიდენტობის კანდიდატმა. დაბოლოს, ბაქრაძეს ასეთ კითხვასაც დავუსვამდი:

5. განსაზღვროს ეროვნული თვითშეგნების ცნება.

თუ განმარტებას ზუსტად ვერ ჩამოაყალიბებს, შინაარსობრივად მაინც ახსნას ამ ცნების არსი.

თუ ადამიანში ოდნავ მაინც ბუუტავს ეროვნული თვითშეგნება, იგი ისე არ მოიქცევა როგორც იქცეოდნენ ნაციონალები ბოლო ცხრა წლის განმავლობაში. ახლა გამოდის ბაქრაძე და ზოგადი, არაფრის მთქმელი ფრაზებით იფარგლება. ამჟამადაც არა აქვს ჭეშმარიტების გაცნობიერების არც სურვილი და არც მიდრეკილება. დადგენილია, პირველყოფილი ადამიანი ხიდან რომ ჩამოხტა და მიწაზე დაიწყო ცხოვრება, მასში უმალვე აღიძრა რეალობის გაცნობიერების სურვილი. სწორედ ამ პერიოდს მიიჩნევენ მეცნიერები ადამიანში გაადამიანების პროცესის დასაწყისად. გამოდის, ბაქრაძეში ჯერ კიდევ არ დაწყებულა ეს პროცესი. აქედან დასკვნა: **ყოვლად დაუშვებელია, 21-ე საუკუნეში, თუნდაც ყველაზე ჩამორჩენილ ხალხში ხელმძღვანელის პოსტის დასაკავებლად დასახელდეს ინდივიდი, რომლის არსში ჯერ კიდევ არ დაწყებულაზემო ხსენებული პროცესი.**

ვაჟა ჟღენტი,
საბჭოური პერიოდის საქართველოს
პოლიტპატიმართა გაერთიანების თავმჯდომარე.

◎ ვითარება

პოლიტიკური „ტაქსების“ წკავწკავი და მარადიული გენიოსები

სინგაპურიდან **დაბრუნებულმა სააკაშვილმა არა მარტო კაჩინსკი მიიღო, არამედ, მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, რომ იტყვიან, „სეფე“ სიტყვაც თქვა, ერთობ აგრესიული, დიპლომატიას მოკლებული, ისტორიული ფაქტების გამაყალბებელი, როგორც ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, ისე მეზობელი ქვეყნებისთვის შეურაცხმყოფელი.**

სააკაშვილი უდრეკია, როდესაც ლაპარაკია რუსეთზე, განსაკუთრებით მის პრეზიდენტ პუტინზე. უდრეკია აქ, გულად ბაჭიასავით, მაგრამ ჩასვრილი – პირისპირ შეხვედრის, რუსული თვითმფრინავის ძრავის ხმის გაგონების დროს. თუმცა, რას მოველით სააკაშვილისგან, სულიერად და მენტალურად დაავადებული ადამიანისგან?!

სააკაშვილის ავადმყოფობის ამბავი, რომელიც ისედაც ცნობილი იყო, გამოქვეყნდა გაზეთ „კვირის პალიტრაში“ სათაურით – „სააკაშვილი თავისი ფსიქიკის მძევალია“.

თუმცა, სააკაშვილი კი არ არის თავისი ფსიქიკის მძევალი, არამედ საქართველოა ფსიქიკურად დაავადებული პოლიტიკოსის მხარის დამჭერი, 9 წლის განმავლობაში მისი ავადმყოფური მმართველობის მაყურებელი და არათუ მაყურებელი, არამედ მსხვერპლი – პირდაპირი მნიშვნელობით.

არც ერთი ქვეყნის მეთაურს იმდენი არ უკადრებია საკუთარი ქვეყნისა და ხალხისთვის, რაც სააკაშვილმა აკადრა. არც ერთი ქვეყნის მეთაურს ისე არ შეურაცხუყვია სამშობლო (თუკი ის საქართველოს სამშობლოდ თვლის), როგორც სააკაშვილს. არც ერთი ქვეყნის მეთაურს ისეთი ღრმა ჭრილობა არ მიუყენებია საკუთარი ქვეყნისთვის, როგორც სააკაშვილს.

ათეული წლები დასჭირდება სააკაშვილის დანაშაულებრივი ქმედების გამოსწორებას და გამოსწორდება თუ არა, ისიც სათუოა. სააკაშვილი თავს უფლებას აძლევს, დღესაც შეურაცხყოს საქართველო, მისი გმირები, მისი ჰეროიკული წარსული.

ის, რომ სააკაშვილი ყბედობს, ყველა ჩვენგანის ბრალია. ის, რომ სააკაშვილი დღესაც სააკაშვილობს, ყველა ჩვენგანის ბრალია. ბრალია თუნდაც ის, რომ მას ეთერს უთმობენ, მათ შორის ვითომდა განსხვავებულად მოაზროვნე ტელეკომპანია „მაესტრო“, რადიო „მაესტრო“, რომ აღარაფერი ვთქვათ სააკაშვილის კონტროლქვეშ მყოფ „რუსთავი-2“-ზე, სხვებზე. სწორედ ამგვარი მედიით იწამლება საზოგადოება, იწამლება მისი წარსული და მომავალი.

სამართლიანობის აღდგენა ოპერატიულ მოქმედებას საჭიროებს და არა თვეობით და წლობით გაჭიანურებას, დამნაშავე პარტიის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას, პრემიერის ბაქრაძესთან ჭუკჭუკს, არამედ ყველა ნაცბობოლის დასჯას, მათთვის პოლიტიკური ცხოვრების აკრძალვას, საერთოდ „ნაციონალური მოძრაობის“ კანონგარეშედ გამოცხადებას. ეს არის სწორედ ის, რისთვისაც ხალხმა მხარი ივანიშვილს დაუჭირა და არა „კოჰაბიტაციად“ მონათლულ მაიმუნობას.

და კიდევ ერთი რამ – სამართლიანობის აღდგენის ტალღაზე მოსულ ივანიშვილს კარგად უნდა ესმოდეს, რომ დაუმთავრებელი ომის არენიდან გაქცევა არათუ ღალატია - დანაშაულია. ხოლო, თუ მას პოლიტიკიდან წასვლა მხოლოდ სიტყვის მასალად აქვს გამოყენებული, ისეთივე სადიზმია, როგორიც სააკაშვილის განცხადებები, მიმართული ქვეყნისა და მისი ხალხისკენ.

უცხოური პრესისთვის პერმანენტული განცხადება – მივდივარ, მივდივარო – რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც ჩანს, ივანიშვილსაც ის მოუნდა, რაც შევარდნაძეს 1993 წელს – მივდივარო, რომ უთხრა პარლამენტარებს, ხოლო უჩუმრად, თავის თანამებრძოლებს – ხალხი მოიყვანეთ „იმელის“ წინ, დააჩოქეთ თხოვნით – დარჩითო.

მაშინ ეს დავალება პირნათლად შეასრულა „იმელის“ ფანჯრიდან გადმოკიდებულმა სარი შვილმა, დღეს ვინ შეასრულებს? ხუხაშვილი ხომ არა?

ასე რომ, ბატონო ბიძინა, გთხოვთ შეეშვათ ფსევდოპატრიოტულ „გულაჩუყებას“ და შეასრულოთ ამომრჩევლის მოთხოვნა სააკაშვილის დასჯისა და მისი ნაცების გასამართლების თაობაზე. ძნელი საქმეაო, იტყვით, მით უმეტეს აშშ-ს აზრის გათვალისწინებით, მაგრამ იოლი ის არის, რასაც ხელისუფლება აკეთებს – უსუსურად, უგერგილოდ, ხალხის აზრის გაუთვალისწინებლად.

ასეთ ხელისუფლებას რას არ დასწამებ – პუტინ-ივანიშვილის საიდუმლო შეთანხმებას სააკაშვილის გასაქრობად, ვიღაც კრიმინალ გუნავას მიმართ ცილისმწამებლურ მოქმედებას, სტალინის ძეგლის დადგმას და ა.შ.

რაც შეეხება სტალინის თემას. ეს ის საკითხია, რომელიც უწიგნური სააკაშვილისა და, მით უმეტეს, ბოკერიას გადასაწყვეტი არ არის.

სააკაშვილები და მისთანა დაავადებული ადამიანები, სამწუხაროდ, არიან პოლიტიკაში, თუმცა, მათი ყოფნა რამდენიმე წლით შემოიფარგლება. ისტორიაში ისინი არ რჩებიან, ვინაიდან არც განათლება, არც პოლიტიკური „ბაგაჟი“, არც პატიოსნება ამის საშუალებას არ იძლევა.

ისტორიაში გენიოსები რჩებიან, რომელთა სახელებს სააკაშვილის მსგავსი პოლიტიკური „ტაქსების“ წკავწკავი რწყილის ნაკბენის მსგავსია. სტალინზე ლაპარაკი, იმჟამინდელი ეპოქის გაუთვალისწინებლად, არაკეთილსინდისერი საქმეა.

განუზომელია სტალინის როლი ფაშიზმის დამარცხებაში, რაც არაერთხელ აღუნიშნავთ იმჟამინდელ მსოფლიო ლიდერებს, მათ შორის გენერალ დე გოლს:

„უდიდესმა ძალისხმევამ, საერთო ბრძოლაში ფრონტსა და ზურგში, საბჭოთა კავშირის მილიონობით მამაკაცისა და ქალის წარმოუდგენელმა მსხვერპლმა, რომელ ზედაც ისინი წავიდნენ, იმათმა გონიერებამ, ვინც ამ ხალხს წარმართავდა, მათ შორის ყველაზე გამოჩენილის მარშალ სტალინს, ისე ღრმად იმოქმედდა ჩვენს ხალხზე, რომ ზენიტში აიყვანა საუკუნოვანი სიმშათია ფრანგებისა რუსი ხალხის მიმართ“.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ერიჰა!

ვის მიხედავს ბურჯანაძე?

„გაიტანეთ ეს მეტეორიტული ნაგავი და მოწმინდეთ გამდნარი თოვლი!

ბილი ფაქტი ყველასთვის, ვინც ამ ხელისუფლებაში იყო, რომ შსს-მ თავის დროზე და თუ არ ვცდები, არამარტო ამ ოპერაციის დროს, რამდენჯერმე, საერთაშორისო პარტნიორებს სთხოვა, არა საჯარო პროპაგანდისთვის, არამედ საკუთარი თავისთვის, მოვლინებული ყოფილიყო ექსპერტების გუნდი, რომელიც დააკვირდებოდა საპოლიციო ოპერაციებს“.

ყურადღება მიაქციეთ, მეტეორი, სახელად გიგა ბოკერია, თავად აღიარებს, საპოლიციო ოპერაციები რამდენჯერმე გვაქვს ჩატარებული და თავის დასაზღვევად თუ სანთლის დასაჭერად უცხოეთიდან ყოველთვის ჩამოგვყავდა ექსპერტები **„მათ შორის იმიტომაც, რომ მასობრივი არეულობისას გამოცდილება ჩვენი პოლიციის ძალიან მწირი იყო და ჩვენ გვახსოვს სერიოზული შეცდომები, დაშვებული 7 ნოემბერს და ამის შემდეგ. ბუნებრივი და ნორმალურია, ასე დროს გინდოდეს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და კვალიფიციური ექსპერტების მოწვევა და მათი დასკვნის ნახვა“.**

ალო, ბატონო მეტეორო, დასკვნები სად არის, გვაჩვენეთ! ეფ-ბი-აის არქივშია, თუ თქვენეული თარგმანი გაქვთ გამზადებული, როგორც ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების მიზეზებზე „შეკერეთ“? დასკვნა მაქვს, გიგა!

თუმცა, რა დასკვნა უნდა იმას, რომ უმცროსი ეშმაკის ცნობიერებაში ყოველთვის მსხვერპლია დამნაშავე და არა ჯალათი? ნახეთ, რა „მოხერხებულად“ იმართლებს თავს მეტეორი: **„მერე მოვლენები განვითარდა ისე, რომ, ჩემი აზრით, აბსოლუტურად უსაფუძვლოდ ყოფილ შს მინისტრს ბრალი წაუყენეს 26 მაისისთვის იმ ფონზე, როდესაც ყველამ იცის, რამ გამოიწვია 26 მაისის ტრაგიკული ინციდენტი, ვინ იყო მოსურნე და ვინ იღვწოდა ძალადობრივი ინციდენტისთვის, ვგულისხმობ ბურჯანაძეს და ამ ტიპის პრორუსულ ძალებს, რომელთაც ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ძალადობა შემდგარიყო და შემდეგ მერაბიშვილს წაუყენეს ბრალი, რომ დანაშაულებრივ ქმედებას ჰქონდა ადგილი“.**

ამ ერთობ „კანონის უზენაესობის გრძნობით გამსჭვალულ“ თვალსაზრისში მეტეორს ახალი ხელისუფლების წევრთა შორისაც ჰყავს თანამოაზრეები, რომლებიც 26 მაისის გამო ბურჯანაძის დასჯას ითხოვდნენ და არა მკვლელებისას! **ამიტომაც აძლევს თავს ამდენის უფლებას ეშმაკის ადვოკატი, სახელად გიგა ბოკერია!**

მეტეორს და, შეთავსებით, რუხ კარდინალს ყველაზე მეტად მაინც რეჟიმის გასამართლების პერსპექტივა აწუხებს.

ბოკერიად წოდებული მეტეორი გვაყვედრის, რომ „პირველად მოხდა დემოკრატიულად ხელისუფლების ცვლა“, ხოლო „ის, რაც ჩვენ გვესმის ხოლმე, რომ ტირანმა სააკაშვილმა წააგო არჩევნები, აღიარა და მერე გადააბარა ხელისუფლება – ეს თავისთავად არის აბსურდული ფრაზა ისევე, როგორც „ცხელი თოვლი“.

მაინც რატომაო, იკითხავს მკითხველი. იმიტომაო, რომ **„ტირანები არ აგებენ არჩევნებს და მშვიდობიანად არ აბარებენ ხელისუფლებასო“,** – აცხადებს მეტეორი. ამის მერე კი ღვარძლით სავსე სიტყვები მოდის, რომ **„დამატებითი ცინიზმია იმ ხელისუფლების მხრიდან, რომლის დიდი ნაწილის წარმომადგენლები არიან ძალიან ლოიალურები ან რბილები შევარდნაძის რეჟიმის შეფასებაში და ამ რეჟიმის ბევრი წარმომადგენელი დაბრუნდა“.**

ერთი სიტყვით, რატომ არ ამოწყდა შევარდნაძის მთელი ხელისუფლებაო, დარდობს ბოკერია, მაგრამ იქვე ივიწყებს ამას და ხელს ივანიშვილისკენ იშვერს: „ის ამოცანა, რასაც, როგორც ჩანს, პირველ ეტაპზე და შეიძლება, ახლაც, ისახავდა ახალი მმართველი გუნდი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გაქრებოდა მყისიერად, როგორც კი არჩევნების შემდეგ ეს დაჭერების ქარიშხალი დაიწყებოდა, მათ შორის, საფუძვლიანი, ლეგიტიმური კრიტიკის იმ მარცხების თუ დანაშაულების გამო, რომელიც ზოგიერთმა წევრმა ხელისუფლებისა, შეიძლება, ჩაიდინა, არ მოხდა... მას აქვს ეს ტიპური ავტორიტარული წარმოდგენა, რომ მას რაც მიაჩნია ძალიან არასწორად ან რაც აღიზიანებს, ის არ უნდა არსებობდეს. ეს წარმოდგენა შეუთავსებელია ლიბერალურ დემოკრატიასთან“.

რასაც თქვენ 9 წელი შვრებოდით, ის ლიბერალური დემოკრატიაა? ისემც ცხელი თოვლი და წუმწუმა არ აგცდეთ თქვენ! ისე, მეტეორები, რომელთაც ჩვენ ბნელ ცაზე ვხედავთ, ათასობით წლის წინათ არის ჩამოვარდნილი, ჩვენ მხოლოდ მათ გამოძახილს ვუყურებთ და აინუნშიც არ მოგვდის, რომ ეს წარსულის ანარეკლია ბნელ ზეცაზე.

ბოკერიაც უკვე ჩამოვარდნილი მეტეორია და „ცხელი თოვლიც“ კარგა ხნის გამდნარი. მათი მეგობარი პაიჭაძე კი უკვე აცხადებს, რომ არც ისინი არიან მისი მეგობრები და არც თვითონ მეგობრობს მათთან.

გაიტანეთ ეს მეტეორიტული ნაგავი და მოწმინდეთ გამდნარი თოვლი, თორემ ბურჯანაძე მოვა და ყველას ერთად მოგხედავთ!

ბადრი წურწუმია,
პოლიტოლოგი.

◎ გამრუდებული სამართალი

სიმართლის მთქმელი, რომელსაც ცხენი არ ჰყავდა,

ანუ რატომ ერიდება ქუჩაში გამოსვლას ფილოლოგიის დოქტორი

ახლახან რედაქციაში ძველი ნაცნობი გვეწვია — ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი გურამ გვენეტაძე, რომლის ორგანიზაციის ოფისიც თავის დროზე ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში „საქართველოს რესპუბლიკის“ სიახლოვეს მდებარეობდა.

— რასა იქმ, ასე რად დაგვივიწყე? — ხუმრობით ვუსაყვედურესავით სალამ-ქალამის შემდეგ.

— ამის ორი მიზეზი მქონდა, — მწარედ ჩაეღიმა. — პირველი ის, რომ დაპატიმრებული ვიყავი, — მითხრა და, რომ შემატყო, გაკვირვებული რაღაცის კითხვას ვაპირებდი, ხელით მანიშნა, ნუ შემაწყვეტინებო. მეორე მიზეზი კი პირველიდან გამომდინარეობს — ციხიდან გამოსვლისას ქუჩაში გავლა და ადამიანებთან შეხვედრისა მრცხვენოდა — ყველას ხომ ვერ ავუხსნიდი და, მით უფრო, ვერ დავარწმუნებდი, რომ უდანაშაულოდ ვიჯექი?

დავინტერესდი, რაღაცები გამოვკითხე, საუბარში ავიყოლიე და...

— 2000 წლიდან ვიყავი საქართველოს ეროვნული აკადემიის სწავლული მდივანი, დაიწყო მან. — ეს აკადემია პატრიოტ მეცნიერთა დიდ ნაწილს აერთიანებდა და, საერთოდ, აკადემიის მთელი კოლექტივი ობიექტურობით გამოირჩეოდა. არამართლზომიერად მივიჩნევდით ნაციონალური მოძრაობის ანტიმეცნიერულ, ანტიაკადემიურ, განათლების სფეროში მონოპოლიზებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მითვისებისა თუ გაპარტახების მიშასეულ მეთოდებს. ხშირად ვაწყობდით კონფერენციებსა და გამოვცემდით წიგნებსა და ბროშურებს ამ საკითხებისადმი ჩვენი დამოკიდებულების შესახებ.

სააკაშვილის მოღვაწეობით გაწბილებული ეროვნული აკადემიის მოწინავე ნაწილი მაშინვე მიხვდა ჩვენი პრეზიდენტის „შემოქმედებას“, ხოლო ყველაზე შემზარავი განმარტება — „ჩარეცხილები“, მტკივნეულად აღიქვეს ჩვენმა მეცნიერებმა, რომელთა თანამოაზრე და მხარდამჭერი ვიყავი ყველგან და საზოგადოებრივი თავშეყრისა თუ ინდივიდუალური შეხვედრების დროს, პრეზიდენტს კრიტიკულად ვიხსენიებდი.

— ამისთვის, ალბათ, ხელისუფლებისგან, „მადლობასაც“ დაიმსახურებდი...

— რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ხელისუფლების მესვეურთა უკმაყოფილებას იწვევდა და მრავალჯერ მივიღეთ დელიკატური გაფრთხილება, 2007 წელს კი გამოგვასახლეს გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან.

— ეროვნული აკადემიის ამბავი გასაგებია, მაგრამ პირადად რატომ და რაში მოგდეს ბრალი?

— 2007 წლის 23 აგვისტოს მომიგზავნეს ჩვენი ნათესავი, სკოლის ყოფილი დირექტორი გიორგი დოლიძე, რომელმაც მთხოვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყალბი დიპლომის დამზადება და მასზე ხელმოწერების გაყალბება. მე ის შინიდან გავაგდე, მაგრამ 25 აგვისტოს სახლში დამადგა საგადასახადო სამსახურის სამი თანამშრომელი ვითომ დიპლომის დამზადების ბრალდებით — გ. დოლიძის ჩვენების საფუძველზე. საგადასახადო სამსახურის გამომძიებელმა თავისივე ხელით დაწერილ ჩვენებაზე მუქარისა და შანტაჟის მეშვეობით მომაწერინა ხელი. ამავე საქმეში სხვა 6 პირიც იმხილებოდა, რომლებზეც ვინმე თემურ სირბილაძემ მიაწოდა საქმე.

— მაინც კონკრეტულად რისთვის გადაგეკიდნენ?

— მე სააკაშვილის ხელისუფლების მსვერპლი გავხდი ჩემი პოლიტიკური შეხედულებების გამო. ამიტომაც დამაპატიმრეს, გადამახდევინეს 9000 (ცხრა ათასი) ლარი საპროცესო გარიგებებისათვის და გამათავისუფლეს მკაცრი გაფრთხილებით.

— მერე რას აკეთებდი?

— კვლავ აკადემიაში დავბრუნდი სამუშაოდ. ოფისი გვქონდა პუშკინის ქ. №7-ში, მეოთხე სართულზე. ეს შენობა პრესტიჟულ ადგილასაა და ბევრს ეჭირა მასზე თვალი. მე ძველებურად გავაგრძელე რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. ერთხელაც გია არსენიშვილმა მითხრა, შენი ვაჟიშვილი, რომელიც 2002 წლიდან ლონდონში ცხოვრობს და ქართულ სათვისტომოში დიდი ავტორიტეტი აქვს, ნაცმოძრაობის ინგლისური ფრთის გაძლიერებაში ჩაერთოსო. ეს შენც გასარგებლებს და მასაც დიდ პერსპექტივებს უქადისო. მე ჩემი შვილის პოზიცია ვიცოდი და მას სასტიკი უარი განვუცხადე.

— ამის გამოც ხომ არ „გაგიბრაზდნენ“ და კვლავ ხომ არ მოგდეს შარი?

— სწორად გამოიცანით. რამდენიმე დღეღა იყო გასული ამის შემდგომ, როცა 2008 წლის 4 აგვისტოს ჩემთან მოვიდა ჩემი ახლო მეგობარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მათემატიკოსი მურად ბიწაძე და მომიყვანა ვინმე თემური — ტურისტული ფირმის დირექტორი, რომელსაც თავის კლიენტ ლევან ჩუბინიძისთვის უნდოდა ჟურნალისტის ყალბი დიპლომის დამზადება. გავბრაზდი და მკაცრი უარით გავისტუმრე ისინი — რატომ მაინცდამაინც ჩემთან მოდიხართ და არა სხვასთან-მეთქი.

მოკლედ ძალიან ადვილი შესამჩნევია, რომ ჩემს წინააღმდეგ რაღაც მობილური ჯგუფი მუშაობდა, რათა განმეორებით დავეკავებინეთ და ამით აკადემიის ავტორიტეტი შეელახათ.

— როდის გააკეთეს ეს?

— 2008 წლის 7 აგვისტოს, ომის წინა დღეს. მცხეთა-მთიანეთის საგადასახადო სამსახურის თანამშრომლებმა დამაკავეს შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე. ისინი შანტაჟის გზით, ოჯახის წევრების ლიკვიდაციის მუქარითა და გაუბედურებით მაიძულებდნენ, მიმეცა მათთვის სასურველი ჩვენება, რაც მიიღეს.

— ამტკიცებ, რომ ხელისუფლება გებრძოდა, მაგრამ მაინც ვისი ხელით „კრეფდნენ ნარს“?

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩემი ორივე პატიმრობის შემთხვევაში ფიგურირებს ერთი და იგივე პიროვნება — ვინმე თემურ სირბილაძე!! აშკარად იკვეთება მიზანმიმართული მოქმედება, რომელიც ჩემს ორ დაკავებას უკავშირდება. აღვნიშნავ, რომ ჩემი დაკავებიდან ერთ კვირაში საქართველოს ეროვნული აკადემია გამოასახლეს ზემოაღნიშნული შენობიდან და შენობის მეპატრონეც, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის ინსტიტუტიც, ზედ მიაყოლეს.

— რამდენი ხანი იჯექი?

— სამნახევარი წელი მომისაჯეს ბოლო შემთხვევაზე — 362-ე მუხლის II ნაწილის შესაბამისად და არც ერთი დღე არ მაპატიეს, როგორც საზოგადოებისთვის მეტად საშიშ პიროვნებას.

— რის თქმას ისურვებდით საზოგადოებისთვის?

— მართალია, ძალიან იშვიათია ისეთი შემთხვევები, რომ ციხიდან გამოსულმა ალალად თქვას, სამართლიანად ვიჯექიო, მაგრამ მე მართლაც მაქვს იმის თქმის-პრეტენზია, რომ ვარ სააკაშვილის რეჟიმის უკანონო პატიმარი, რასაც ვაპროტესტებ. ვარ სულიერად და მორალურად განადგურებული, რაც საზოგადოებაში გამოჩენის სურვილს მისპობს, ვინაიდან ჩემს მიმართ ეჭვნარევი შეხედულებაა და ყველამ სრულფასოვნად არ იცის ჩემი პატიმრობის ნამდვილი მიზეზები.

— რას იტყოდი „ცოცხების ეპოპეაზე?“

— ციხის გახმაურებული კადრების მიღმა იქ ძალიან ბევრი უბედურება ტრიალებდა. საზოგადოებისთვის უცნობია, ყველა ის ნიუანსი, რასაც ეს კოაბიტაციის მსურველი ვაუბატონები სჩადიოდნენ, რომელთა დევიზი იყო „ნულოვანი ტოლერანტობა“.

იმავე დევიზით უნდა იხელმძღვანელოს საზოგადოებამაც მათ მიმართ, ვინაიდან მათგან გაუბედურებული ოჯახები, პიროვნებები, შეურაცხყოფილი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ფსიქიკურად განადგურებული და მორალურ-ფიზიკურად შეურაცხყოფილები ვართ.

ესაუბრა
გურამ მიხელიძე

◎ ალიან-ჩალიანი

რიჩარდ ნორლანდი - საქართველოში მიღწეულია დიდი პროგრესი, თუმცა, კვლავ რჩება აღგილი პროგრესის მისაღწევად

— ამის შესახებ ამერიკის ელჩმა საქართველოში ჟურნალისტებს არასაპარლამენტო ოპოზიციასთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

რიჩარდ ნორლანდის თქმით, მას აინტერესებდა არასაპარტამენტო პარტიების ლიდერების ხედვა საპრეზიდენტო და მომავალი წლის ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით, რადგან, როგორც ელჩმა აღნიშნა, იმ პოლიტიკურ სეზონზე, რომელშიც საქართველო შედის, მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოთამაშეების მოსაზრებების გათვალისწინება.

„მთელი რიგი საკითხები იკვეთება, როგორიცაა საარჩევნო კამპანიის დაფინანსება, საოლქო კომისიების დაკომპლექტების წესი, თუ რამდენად იქნებიან წარმოდგენილი პოლიტიკური სუბიექტები, მედიის პოლარიზება — არის თუ არა იმ დონეზე პოლარიზებული მედია, რომ ხელი შეეშალოს ყველა პოლიტიკური პლატფორმის სამართლიან გაშუქებას. მედიას დიდი როლი აკისრია ამ პროცესში. ამგვარი შეხვედრები კი დაგვეხმარება გავიაზროთ საქართველოს საზოგადოებაში არსებული შეხედულებები დავხვეწოთ ძალისხმევა, რათა ხელი შევუწყოთ საქართველოში დემოკრატიის შემდგომ განვითარებას. საქართველოში მიღწეულია დიდი პროგრესი, მაგრამ კვლავ რჩება ადგილი პროგრესისთვის“, — აღნიშნა ამერიკის ელჩმა.

რიჩარდ ნორლანდი არასაპარლამენტო პარტიების ლიდერებს ამერიკის საელჩოში შეხვდა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ნინო ბურჯანაძე, აკაკი ასათიანი, ფიქრია ჩიხრაძე, პაატა დავითაია, ბაჩუკი ქარდავა, კახა კუკავა, ჯონდი ბაღათურია, შალვა ნათელაშვილი, გიორგი თარგამაძე და სერგო ჯავახაძე.

ნოდარ ხადური - ეკონომიკა შემცირებული არ არის

საძართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური აცხადებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკა შემცირებული არ არის. როგორც ნოდარ ხადურმა „რუსთავი 2“-თან საუბარში აღნიშნა, ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები არის წინასწარი მონაცემი და აღნიშნული სამსახური ამ მონაცემებს სულ მცირე ორჯერ დააზუსტებს.

„ერთი შემიძლია გითხრათ, რომ ეს მონაცემი საერთოდ არ ითვალისწინებს სოფლის მეურნეობაში არსებულ მდგომარეობას, რაც ვფიქრობ, არასწორია და ხელოვნურად არის შემცირებული“, — განაცხადა ხადურმა.

მისივე თქმით, ბოლო პერიოდში ქვეყანაში ინვესტიციები ძალიან ხშირად ხორციელდება, რაც იმის დასტურია, რომ „ეკონომიკაში გრძელვადიანი, მდგრადი აღმავლობის ხანა იწყება“.

„შემცირებული არ არის ეკონომიკა. პირველი 6 თვის განმავლობაში ეკონომიკურმა ზრდამ სოფლის მეურნეობის გარეშე დაახლოებით 2 % შეადგინა“, — დასძინა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა.

თბილისში ლეიშმანიოზით დაავადებული ოთხი პირი მკურნალობს

პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ლეიშმანიოზით დაავადებული ოთხი პაციენტი მკურნალობს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარაზიტოლოგიის ინსტიტუტიდან აცნობეს, დასნებოვნება სისხლისმწოველი მწერი ფლებოტომუსის საშუალებით ხდება, რომელიც ადამიანს მაწანწალა ძაღლებიდან შეიძლება გადაეედოს. ლეიშმანიოზისთვის დამახასიათებელი სიმპტომები ადამიანს 20 დღიდან 1 წლის განმავლობაში შეიძლება გამოუვლინდეს.

როგორც პარაზიტოლოგიის ინსტიტუტში აცხადებენ, პაციენტები სწორედ გასულ წელს დაავადდნენ პარაზიტით და დაავადება წელს გამოვლინდა. ლეიშმანიოზის დროს პაციენტს აღენიშნება სხეულის მაღალი ტემპერატურა, ანემია, უმადობა, ლიმფური კვანძების გადიდება და სხვა.

ქართული სექსტეტი საბავშვო ევროვიზიაზე

საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფმა საბავშვო ევროვიზიისთვის ექვსი ბავშვი შეარჩია. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საზოგადოებრივი მაუწყებლიდან აცნობეს , შერჩეულ კონკურსანტთა შორის მოხვდნენ მარიამ შავლაძე, მარიამ სამუშია, თამთა დიასამიძე, ანა კვანტალიანი, ლუკა გოგიბერიძე და საბა ჩაჩუა.

როგორც კონკურსის საორგანიზაციო ჯგუფის წარმომადგენლები აცხადებენ, ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც ევროვიზიის ფინალურ კონკურსზე საქართველო სექსტეტით წარდგება. ოთხი გოგონა და ორი ბიჭი პროდიუსერებმა 22 ბავშვიდან შეარჩიეს.

მონაწილეებთან, საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფთან ერთად, ტრადიციულად, გიგა კუხიანიძე იმუშავებს. ჯერჯერობით უცნობია, რა დაერქმევა ჯგუფს და რა სიმღერას შეასრულებენ ისინი კიევში, საბავშვო ევროვიზიაზე.

◎ ვითარება

კიდევ ვინ შევა „კუტუზკაში“?

პრეზიდენტის პოსტის დატოვების შემდეგ, შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილი სასამართლოს წინაშე წარდგეს, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ბელგიურ გამოცემა Euobserver-სთან ინტერვიუში.

როგორც for.ge-ს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ განუცხადა, სასამართლოს წინაშე სააკაშვილის წარდგომა ძალიან ლოგიკური იქნებოდა.

„სააკაშვილმა უკანონობას მწვანე შუქი აუნთო და პასუხი უნდა აგოს“

მისი თქმით, სააკაშვილის იმპიჩმენტის პროცედურა ძალიან რთული და მიუღწეველი იქნებოდა, თუმცა, ამის ყველანაირი საფუძველი არსებობდა.

„სასამართლოსა და პარლამენტში არსებულ რეალობაში ამის წამოწყება რთული იქნებოდა, მაგრამ როცა სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ იქნება, მან, როგორც რიგითმა მოქალაქემ პასუხი უნდა აგოს კანონდარღვევებსა და ყველა იმ უსამართლობაზე, რომელიც მისი ხელისუფლების პირობებში იყო. სამწუხაროდ, ის ამ რეჟიმის ხელმძღვანელი იყო და ამ საკითხში არანაირი პოლიტიკური მოტივი არ არსებობს. ყველას მიეზღვება ის, რაც მან თავისი საქმიანობით დათესა და დატოვა“, — აცხადებს ვიცე-სპიკერი.

საკითხზე საუბრისას, მანანა კობახიძე იმ საქმეებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელზეც ქვეყნის პირველ პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს.

„მან 2008 წლის აგვისტოს მოვლენებზეც უნდა აგოს პასუხი, რადგან მაშინ ის იყო პრეზიდენტი და მშვიდობიანი მოსახლეობის გამოყვანაზე პასუხისმგებლობა მას ჰქონდა. ამას გარდა, მას პასუხი მოეთხოვება — 26 მაისის, 7 ნოემბერის, გირგვლიანისა და აფრასიძეების საქმეზე, რომელზეც მან ბრძანება პირადად გასცა და იყო თუ არა ამ ადამიანების ლიკვიდაცია მისი განკარგულება, ეს უნდა გაირკვეს?! ის ნულოვანი ტოლერანტობის იდეით გამოვიდა და აცხადებდა, რომ ადამიანი ძალიან მცირე დანაშულზეც უნდა დასჯილიყო და პოლიციელებს ადამიანებისთვის ესროლათ. მან ამ რეჟიმს, ფაქტობრივად, მწვანე შუქი აუნთო. ზემოთ აღნიშნული საქმეების გარდა, სააკაშვილმა კითხვებს პასუხები უნდა გასცეს ასევე ზურაბ ჟვანიას საქმეც, რომლის ძიება დასასრულისკენ არის წასული და დარწმუნებული ვარ, ამ საქმეშიც იქნება ის გარემოებები, რომელიც, შესაძლოა, სააკაშვილამდე მივიდეს. ხალხმა სიმართლე უნდა გაიგოს, თუმცა, ამ საქმეს დიდი კითხვის ნიშანი მაშინ დაესვა, როცა ამ ფაქტიდან რამდენიმე საათში, მერაბიშვილი გამოვიდა და ღიად თქვა, რომ ეს იყო „უბედური შემთხვევა“, მაშინ, როდესაც ექსპერტიზის დასკვნა არ არსებობდა. თუ ეს უბედური შემთხვევა იყო, მაშინ რატომ არ ხურავდნენ საქმეს და თუ არ იყო, მაშინ გამოძიება რატომ არ წავიდა წინ?!“, — აღნიშნავს დეპუტატი.

პრეზიდენტის მომავალ ბედზე საუბრისას, უმცირესობა აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ არც ერთი საქმის გამოძიება არ არის დაწყებული. შესაბამისად, მსგავსი განცხადებების გაკეთება არაკორექტულია.

როგორც for.ge-ს ლევან ბეჟაშვილმა განუცხადა, პრემიერის შეფასება, რომ „სააკაშვილი სასამართლოს წინაშე მას შემდეგ წარდგეს, რაც მას იმუნიტეტი მოეხსნება“ მინიშნებაა სამართალმცავების მისამართით — თუ როგორ უნდა წარმართონ საქმიანობა.

„ეს განცხადება ბევრ კითხვის ნიშანს სვამს, რადგან არც ერთ კონკრეტულ გამოძიებაზე არ არის საუბარი და წინასწარი განცხადება, რომ პრეზიდენტი, შესაძლოა, დაიჭირონ, ეს არაკორექტულია როგორც სამართლებრივად, ასევე პოლიტიკურად. პრემიერის ეს განცხადება, შესაძლოა, სამართალდამცავებისთვის მინიშნება იყოს — თუ როგორ წარმართონ საქმეები. როცა, მსგავს განცხადებას ხელმძღვანელი აკეთებს, ამას ქვემდგომი პირები მინიშნებად აღიქვამენ და შესაბამის მოქმედებას იწყებენ. რაც შეეხება ჟვანიას საქმეს, ამ და ბევრ სხვა საქმეზე გვესმის, რომ გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ ვერც ერთ საქმეს ვერ ვხედავთ, რომელზეც კითხვის ნიშნები არ არსებობდეს. ეს, არ ვიცი, უნიათობის ბრალია თუ ფაქტების არარსებობის. საზოგადოებას ბრალდებები ესმის, მაგრამ მტკიცებულებები არ არსებობს. მართალი გითხრათ, ძალიან ცუდია, როცა კონკრეტული ოჯახის ტრაგედიას პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე იყენებენ“, — განუცხადა for.ge-ს ბეჟაშვილმა.

თეონა მანაგაძე

◎ ალიან-ჩალიანი

ივლისში პირობითი მსჯავრი 88 პირობით მსჯავრდებულს მოეხსნა

ივლისში პირობითი მსჯავრი 88 პირობით მსჯავრდებულს მოეხსნა. როგორც „ინტერპრესნიუსს„ სასჯელაღსრულების სამინისტროდან აცნობეს, ასევე გასულ თვეში პირობით მსჯავრი გაუნახევრდა 10 პირობით მსჯავრდებულს, ასევე, პირობით მსჯავრი შეუმციერდა 79 პირობით მსჯავრდებულს. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 2013 წლის ივლისის თვეში ამნისტირებულია პრობაციის ეროვნული სააგენტოს აღრიცხვაზე მყოფი 177 პირობით მსჯავრდებული.

ამნისტირებულ 177 პირობით მსჯავრდებულს შორის 44 - ნაკლებად მძიმე, 106 - მძიმე და 27 - განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იყო მსჯავრდებული. ამნისტირებულ 177 პირობით მსჯავრდებულს შორის 174 მამრობითი (არასრულწლოვანი - 1, სრულწლოვანი - 172, ხანდაზმული - 1) და 3 მდედრობითი სქესის სრულწლოვანი იყო.

ივლისის თვეში 11 პირია ამნისტირებული

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ივლისის თვეში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული 11 პირია ამნისტირებული. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, თერთმეტივე პირი, საპატიმრო სასჯელის მოხდისაგან სრულად გათავისუფლდა.

ამნისტირებულ 11 ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შორის 10 - მამრობითი და 1 - მდედრობითი სქესის სრულწლოვანი იყო.

ინტერპრესი

◎ განათლება

რას უნდა ხმარდებოდეს სახელმწიფო რესურსი?

დაბალი კვალიფიკაცია, მაღალი პასუხისმგებლობა

პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდების პირველადი შედეგების გამოქვეყნებას გამოცდების ეროვნული ცენტრი 10 აგვისტოს დაასრულებს. ნაწილობრივი შედეგებით კი გამოიკვეთა, რომ პედაგოგთა დიდმა ნაწილმა სავალდებულო ზღვრის გადალახვა ვერ შეძლო. გამოცდებმა მასწავლებელთა კვალიფიკაციის დაბალი დონე გამოავლინა.

გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგები ამ ეტაპზე ისეთ დისციპლინებშია ცნობილი, როგორიცაა ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია და სახვითი ხელოვნება. მათ შორის სავალდებულო 60-პროცენტიანი ბარიერი მათემატიკაში პედაგოგთა 86-მა პროცენტმა ვერ გადალახა, ქიმიაში — 91-მა პროცენტმა, ფიზიკაში — 96-მა პროცენტმა, ბიოლოგიაში — 77-მა პროცენტმა, სამოქალაქო განათლებაში — 83-მა პროცენტმა, სახვით ხელოვნებაში — 74-მა პროცენტმა. შედარებით უკეთესი შედეგები აჩვენეს ისტორიისა და გეოგრაფიის პედაგოგებმა — მათი შედეგები, შესაბამისად, არის 57 და 49 პროცენტი. უახლოეს ხანში გამოქვეყნდება ქართულსა და უცხო ენაში გამოცდების შედეგები.

პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებში მონაწილეობისთვის 2013 წელს 26 000-მდე პედაგოგი დარეგისტრირდა. გამოცდაზე მათი 17-18 პროცენტი არ გამოცხადდა. გამოცხადებულებმა კი, ზოგადად, აჩვენეს შედეგი, რომლითაც გამოცდების ეროვნული ცენტრიც უკმაყოფილებას გამოხატავს. ცენტრის დირექტორის მოადგილე ივა მინდაძე აღნიშნავს, რომ პრობლემა კომპლექსურია, მაგრამ ამ კომპლექსში წამყვანი სახელმწიფოს მიდგომაა:

„მე მგონია, თუკი რამე რესურსი აქვს სახელმწიფოს, სწორედ პედაგოგზე უნდა მიმართოს და მიმართოს არა მხოლოდ კონკრეტულ პედაგოგებზე, ვინც უშუალოდ ჩართულია გამოცდების პროცესში, არამედ, ზოგადად, ამ პროფესიის სტატუსის ამაღლებაზე. ბევრი რესურსია, ჩემი აზრით, მისამართი მომავალი პედაგოგების მომზადებაზე“.

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებზე ნაჩვენებ დაბალ შედეგებს ორ მთავარ გარემოებას უკავშირებს საქართველოს პარლამენტის წევრი, უმცირესობის წარმომადგენელი სერგო რატიანი. მისი შეფასებით, პედაგოგთა დიდი ნაწილის მიერ სავალდებულო ბარიერის დაუძლევლობა, ერთი მხრივ, უკავშირდება მიმდინარე წელს სახელმწიფოს მიერ პედაგოგებისადმი გამოჩენილ უყურადღებობას, მეორე მხრივ კი, მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების დისკრედიტაციას „ქართული ოცნების“ (?!) მიერ: **„ის, რაც ტარდებოდა წლების განმავლობაში — მასწავლებლების გადამზადება და მეთოდური დახმარება, წელს ეს დახმარება არ მოხდა. „ქართული ოცნება“ ამ გამოცდების მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ეწეოდა დისკრედიტაციას და მან გააჩინა მოლოდინი, რომ ეს გამოცდები არ იქნებოდა იმდენად მკაცრი, როგორიც იყო წინა წლებში“.**



სერგო რატიანის პასუხად, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის განათლების სპეციალისტი თამარ მოსიაშვილი ამბობს, რომ სახელმწიფოს უმოქმედობისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პრობლემა თვალშისაცემი იყო გასულ წლებშიც:

„მე, უბრალოდ, მიკვირს, წელს რატომ დადგა დღის წესრიგში ეს საკითხი, როდესაც სამი წელია მუდმივად სტატისტიკურად ერთი და იგივე ციფრები გვაქვს. სამი წლის განმავლობაში მხოლოდ 9896-მა მასწავლებელმა გაიარა სერტიფიცირება. არ მოგვწონს მაგრამ ეს არის ჩვენი რეალობა. ჩვენ მუდმივად უნდა ვიფიქროთ, ვთქვათ, 60 წლის მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე. იქნებ ჯობია, ჩვენ ვიფიქროთ საუნივერსიტეტო პროგრამების სრულყოფაზე და იმაზე, სკოლის მოსწავლეს როგორ მოვანდომოთ მასწავლებლობა. ჩვენ თუ ამას დღეს დავიწყებთ, 10 წლის შემდეგ გვექნება შედეგი“.

თამარ მოსიაშვილი ფიქრობს, რომ სახელმწიფოს სტრატეგია სისტემაში ახალი მაღალკვალიფიციური კადრების მიზიდვისკენ უნდა იყოს მიმართული. რაც შეეხება არსებულ რეალობას და პედაგოგთა გამოცდებს, როგორც გარდაბნის მუნიციპალიტეტის გაჩიანის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თეა ხუციშვილი აღნიშნავს, პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები წელს, გასულ წელთან შედარებით, რთული იყო და, ზოგადად, ტენდენციაც წლიდან წლამდე გართულებით ხასიათდება:

„ტენდენციურად, ყოველწლიურად რთულდება ტესტები და შემდეგ გამოდის ისე, რომ თავიდან ვინც ჩააბარა ეს გამოცდები, თურმე ისინი ყოფილან ძლიერები და შემდეგ და შემდეგ ვინც გავიდა გამოცდაზე, ის მასწავლებლები უკვე აღარ ვარგანან. ასე არ ხდება და ასე არ შეიძლება, მასწავლებელს რაღაც იარლიყი მიარტყა“.

თეა ხუციშვილი, საგამოცდო ტესტების სირთულის გარდა, გამოყოფს ასევე გამოსაცდელი მასალის დიდ მოცულობას და მის დასაძლევად არასაკმარის დროს. განსაკუთრებით წუხს იმაზე, რომ სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგებზე მსჯელობა, ზოგადად, საგრძნობლად ლახავს პედაგოგის ავტორიტეტს.

ნონა მჟედლიშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

პროკურატურა ბაჩანა ახალაიას განაჩენს გაასაჩივრებს

ამის შესახებ მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ. „საქართველოს პროკურატურა მიიჩნევს, რომ ბაჩანა ახალაიასთვის ბრალად შერაცხილი დანაშაულების ჩადენა დადასტურებულია სასამართლო გამოძიების დროს გამოკვლეული, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებათა ერთობლიობით. შესაბამისად სასამართლოს განაჩენის მიღების, შესწავლისა და გაანალიზების შემდეგ მიღებული იქნება გადაწყვეტილება განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრების შესახებ, რაზედაც საზოგადოება დამატებით იქნება ინფორმირებული, — ნათქვამია მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

თავდაცვის მინისტრობის პერიოდზე ბაჩო ახალაია სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო და აღმკვეთი ღონისძიება პატიმრობა გააუქმა. საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს ბაჩო ახალაიასა და მასთან ერთად ბრალდებულების, სამხედროების მიმართ არაადამიანური მოპყრობისა და ზვიად აბესაძისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის საქმეზე გადაწყვეტილება მოსამართლემ გუშინ გამოაცხადა.

ახალაია სისტემის ერთ-ერთი იდეოლოგი იყო სააკაშვილთან ერთად

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი და ვიცე-პრემიერი კახა კალაძე პატიმრების წამების საქმეზე ბაჩო ახალაიას გამამართლებელ განაჩენს გამოეხმაურა.

როგორც კახა კალაძემ ბათუმში ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რაც ციხეებში ხდებოდა, შეუძლებელია დაბალ დონეზე გაკეთებულიყო, თუ დავალებები ზემოდან არ მოდიოდა.

მისი თქმით, შესაძლოა, ახალაია არ მონაწილეობდა ადამიანების წამებაში, მაგრამ იგი სისტემის ერთ-ერთი იდეოლოგი იყო, მისეილ სააკაშვილთან ერთად.

— ჩვენ ყველამ ვიხილეთ, რა ხდებოდა ციხეებში, როგორ ეპყრობოდნენ ადამიანებს და დამერწმუნებით, ალბათ, ეს ყველაფერი წარმოუდგენელია გაკეთდეს დაბალ დონეზე, თუ არ მოდის ზემოდან დავალებები. ეს იყო სისტემური ხასიათის დანაშაული. კეთდებოდა განცხადებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდებოდა ციხეებში, მაგრამ, როდესაც უკვე ვნახეთ ვიდეოფირები, თუ როგორ აუპატიურებდნენ იქ მყოფ ადამიანებს ხელკეტითა და ცოცხით, ამან ყველაფერ ზღვარს გადააჭარბა. ეს არის საშინელება. ჩვენ თუ გავიხსენებთ, მისეილ სააკაშვილი იმითაც ამაყობდა, თუ რა ხდებოდა ჩვენს ციხეებში და როგორ ჰქონდა დალაგებული. ის ამბობდა, რომ საფრანგეთის სახელმწიფომ მოდელიც კი გადაიღო ციხეების მართვის. ასეთ სისულელეებს ამბობდა მისეილ სააკაშვილი, — აღნიშნა კახა კალაძემ.

პროცესი ჯერ არ დასრულებულა, ველოდებით ზედა ინსტანციებს

დღევანდელი გამართლებით დადასტურდა, რომ სასამართლო პროკურორებისგან თავისუფალია, — ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ბაჩო ახალაიას საქმესთან დაკავშირებით განაცხადა.

წულუკიანის თქმით, პროცესი არ დასრულებულა, საქართველოში არსებობენ პირველი ინსტანციის ზემდგომი მოსამართლეები, რომლებიც იმიტომ არიან ზემდგომი მოსამართლეები, რომ წესით უფრო მეტი კომპეტენცია და გამოცდილება აქვთ.

— პროკურატურა გააორმაგებს თავის ძალისხმევას. ჩემთვის რამდენადაც ცნობილია, საქმის მასალებში არის გამოძიების დროს მოპოვებული არაერთი მტკიცებულება ბრალის შესახებ, პროკურატურა გაორმაგებული ძალისხმევით თუ გადაწყვეტს და, მე როგორც ვიცი, გადაწყვეტენ განაჩენის გასაჩივრებას მეორე ინსტანციაში, კიდევ უფრო მეტი შემართებით და ძალისხმევით დაუჭერენ ბრალდებას მხარს, — აღნიშნა თეა წულუკაინმა.

როგორც იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, ამას დაემატება ისიც, რომ წესით სააპელაციო მოსამართლე გაცილებით უფრო კომპეტენტურია, ვიდრე პირველი ინსტანციის.

— დღეს ამ განაჩენით დადასტურდა ერთი მარტივი რამ, რასაც ბევრჯერ ვამბობდი და რასაც ჩვენი მთავრობა არაერთხელ ამბობდა — სასამართლო არის რეალურად პროკურორებისგან თავისუფალი. მთავარი არის ერთი რამ, დიახ, სასამართლო არის თავისუფალი და დიახ, ჯერ პროცესი არ დასრულებულა. ამიტომ ის პირველი უარყოფითი რეაქცია, გაუგებრობის განცდა რაც საზოგადოებას, მათ შორის შეიძლება მეც მქონდეს განაჩენისადმი, ამას ნუ ავყვებით, რადგან პროცესი გრძელდება, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მოსამართლეებზე წინა ხელისუფლება ისევ ფლობს გარკვეულ ბერკეტებს

როგორც ჩანს, სასამართლოს გარკვეული ვალდებულებები აქვს ყოფილი ხელისუფლების მიმართ, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა ბაჩო ახალაიას მიმართ ერთ-ერთ ეპიზოდზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შეფასებისას განუცხადა.

როგორც დეპუტატმა აღნიშნა, ცნობილია, რომ გარკვეულ ბერკეტებს წინა ხელისუფლების წარმომადგენლები მოსამართლეებზე ფლობენ.

— ნამდვილად ვერ ვიტყვი ეს გადაწყვეტილება ჩარევით იყო თუ ჩაურეველად. თუმცა, ცნობილია, რომ გარკვეულ ბერკეტებს წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ფლობენ მოსამართლეებზე, — განაცხადა სესიაშვილმა. ამასთან, როგორც სესიაშვილმა აღნიშნა, ბაჩო ახალაიას მიმართ საკმარისი მტკიცებულებები იყო. — მე, როგორც პარლამენტის წევრი თავს შევიკავებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეფასებისგან. უბრალოდ ამის უფლება არ მაქვს. თუმცა, მიმაჩნია, რომ იმ ნაწილში რა ნაწილშიც ბაჩო ახალაია გამართლდა, საკმარისი მტკიცებულებები იყო იმისთვის, რომ მისი პასუხისმგებლობა დამდგარიყო. ეს არის ჩემი პირადი აზრი, — აღნიშნა დეპუტატმა.

◎ საბანკო სესხი

ჯანს და ბიზნესს გადაყოლილი საცხოვრისები...

საძვეძნოდ ცნობილ გაიძვერასა და თაღლითს, ოსტაპ ბენდერს მოქალაქეთაგან ფულის „ამოღების“ 400 „შედარებით კანონიერი“ ხერხი ჰქონდა, როდესაც იგი მსხვერპლს სამუდამოდ დაკარგული ფულის მაგივრად „სახსოვრად“ რაიმეს, თუნდაც ტკბილ მოგონებას მაინც უტოვებდა.

თქვენი არ ვიცი, ბატონებო, მაგრამ პირადად მე ის აზრი მრჩება, რომ საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მესვეურებს არც დიდი კომბინატორის და არც მისი „დონკიხოტობის“ შესახებ სმენიათ და თავიანთ კლიენტებს, რომ იტყვიან, „ცარიელ-ტარიელებს“ ტოვებენ. და, რაც ყველაზე მთავარია, ძირითადად უზარმაზარი საპროცენტო განაკვეთების წყალობით, მათს მოძრავ თუ უძრავ ქონებასაც ეპატრონებიან.

საქართველოში დღესდღეობით 19 კომერციული და ორი საზღვარგარეთული კომბანკის ფილიალი მუშაობს, რომელთაგან მოსახლეობაზე გაცემული სესხების დროულად გაუსტუმრებლობის მიზეზით მათ საკუთრებაში გადასული უძრავი თუ მოძრავი ქონების შესახებ მონაცემები მხოლოდ ათ მათგანს აქვს განსაჯაროებული. გნებავთ ცალკეული ციფრების (რომლებსაც ქვემოთ მოვიყვანთ), გნებავთ მათი ჯამური ანალიზით, რომლის დინამიკის გადევნება წლების მიხედვით ძალიან ადვილია, ირკვევა, რომ **მოსახლეობის კუთვნილი ქონება ბანკირების ხელში კატასტროფული სისწრაფით გადადის,** რის შედეგად ქვეყნის მასშტაბით უამრავი ოჯახი ღიაცის ქვეშ დარჩა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. 2013 წლის რამდენიმე თვეში, კერძოდ კი მარტო პირველ კვარტალში (წლის პირველი ნახევრის მონაცემები ჯერჯერობით უცნობია) იმ ათი კომბანკის ხელში, რომელმაც ეს ინფორმაცია გახსნა, დაახლოებით 80 მილიონი ლარის ქონება გადავიდა. შედარებისთვის ვიტყვი, რომ შარშანდელი ანალოგიური მაჩვენებელი წლევანდელს 8,4 მილიონი ლარით ჩამორჩება. თუ უფრო ზუსტ მონაცემებს მოვიყვანთ, **წლის პირველ კვარტალში ათი კომბანკის საკუთრებაში მთლიანად 79,83 მილიონი ლარის უძრავ-მოძრავი ქონება გადავიდა.**

ფინანსური „ზვიგენობით“ გამორჩეული ამ ათეულის უდავო ლიდერია **„საქართველოს ბანკი“,** რომელმაც აღნიშნულ პერიოდში დაახლოებით 57,86 მილიონი ლარის ქონება დაისაკუთრა. ამ მხრივ „მილიონერთა“ სიაში ასევე არიან **„ვითიბი ბანკი“** (დაახლოებით 10,34 მილიონი ლარი), **„პროკრედიტ ბანკი“** (8,4 მილიონი ლარი), **„ბითიეი ბანკი“** (2,7 მილიონი ლარი), სხვები. როგორც ზემოთ ითქვა, კომბანკების ნახევარმა იპოთეკით დატვირთული და მოძრავი ქონების დასაკუთრების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება არ ისურვა. თუმცა კი, მიუხედავად ამისა, მრავალი ექსპერტის საერთო აზრით, **მთლიანად კომბანკების მიერ დასაკუთრებული ქონების ჯამური ღირებულება, როგორც ჩანს, 100 მილიონ ლარს ჭარბობს, რაც, დაგვეთანხმებით, ასე მოკლე დროში ძალიან ბევრია.**

რაიმე გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქონება-დაკარგული, ხშირად უბინაოდ დარჩენილი ხალხი, წვრილშვილის პატრონი, რა თქმა უნდა, ყველანაირი თანადგომისა და მხარდაჭერის ღირსია, თუმცა ნურც ის დაგვავიწყდება, რომ კომბანკებიც ამ შემთხვევაში მთლად არ ტყუიან: თავიანთი გაღებული ქონება (ანუ ფული) მათ აუცილებლად უკან უნდა დაიბრუნონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თავად გახდებიან სანქციების ობიექტი ეროვნული ბანკის მხრიდან. **ამდენად, მრავალი ექსპერტის აზრით, ამ ერთგვარად „პატულ“ სიტუაციაში საჭიროა მთავრობის მხრიდან გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, შექმნილი ძალიან მძიმე სოციალურ-მატერიალური მდგომარეობიდან გონივრული, ორივე მხრისთვის მისაღები გამოსავლის მოძებნა. ყველაზე საგულისხმოა იპოთეკით დატვირთული ბინების სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვა კომერციული ბანკებისგან, ამ თანხის იპოთეკარებისთვის გრძელვადიანი სესხის სახით გაცემა, მათთვის იქ ცხოვრების უფლების დართვა რა დროშიც ისინი ვალდებულნი იქნებიან ეს ბინები გამოისყიდონ, ანუ სახელმწიფოს ვალი დაუბრუნონ.** ეს, იქნებ, კარგი გამოსავალიც იყოს, თუმცა კი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უამრავი თანმხლები გარემოება, თვალის ერთი გადავლებით თითქოს უმნიშვნელო დეტალი იქნება გასათვალისწინებელი — მაგალითად, ის, თუ რატომ ვერ გადაიხადა იპოთეკარმა ბანკის ვალი დროულად, რა გახდა ამის მიზეზი, რამდენად მართებულად გაიცა ამა თუ იმ ოდენობის სესხი და ა.შ.

ამასთან, ექსპერტები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ იპოთეკური კანონმდებლობა საქართველოში აშკარად საჭიროებს მოდერნიზებას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. ეს გარემოება რომ უდავოა, ამას თუნდაც ის უბრალო მაგალითი მოწმობს, რომ **როცა ბანკი ფიზიკური პირისგან მის ერთადერთ საცხოვრისს იღებს, იგი, სავარაუდოდ, მას წინასწარვე უსახლკარობისთვის გარკვეულწილად წირავს, რაც ყოვლად დაუშვებელია.**

დასკვნის სახით კი იმის თქმა შეიძლება, რომ ბიზნესის წამოსაწყებად, სამკურნალოდ, და ა.შ. რომ იტყვიან, ჭირისა და ლხინისთვის, ყოველთვის „ცოცხალი“ ფულია საჭირო, რომელიც მოსახლეობის უმეტეს ნაწილში მუდამ იყო, არის და, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს იქნება დეფიციტში. ამდენად ბინების იპოთეკა, მოძრავი ქონების დაგირავება კომბანკებში მომავალში კიდევ უფრო ინტენსიურად მოხდება. შესაბამისად, გაიზრდება გაუთვლელობით (ზოგჯერ იქნებ განზრახაც!) დაკარგული ქონების მოცულობაც. ამდენად ამ ურთულეს და სოციალური მდგომარეობის გამოსწორების გზაზე აუცილებლად გონივრულად გადასაჭრელ პრობლემას დიდი სიფრთხილით და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დროულად მიდგომა და მიხედვა უნდა.

ოთარ ტურაბელიძე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

დავინახოთ რეალური საქართველო!

დასავლურ მედიას, რომელიც კავკასიის მოვლენებს აშუქებს, სამწუხარო მიდრეკილება აქვს სიმბოლიზმისკენ რეალობის ნაცვლად.

მათ, ვისაც იმედი ჰქონდა, რომ საქართველოს დაუსრულებელი პოლიტიკური დუღილი 2012 წელს ხელისუფლების შეცვლით დასრულდებოდა, ბოლო შვიდმა თვემ მცირე ამოსუნთქვის საშუალება მისცა. მართალია, ახალმა მთავრობამ მართლაც რამდენიმე წარმატებული ნაბიჯი გადადგა მთელი რიგი მნიშვნელოვანი რეფორმების მიმართულებით, თუმცა ეს ინიციატივები დიდწილად მეორე პლანზე გადადის, უკმაყოფილების მუდმივი განგაშის ფონზე. ბოლო ასეთი განგაში, მაისში თბილისში სექსუალური უმცირესობების საწინააღმდეგო „პოგრომისა“ და სულ რამდენიმე დღეში ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის დაპატიმრების დროს გაისმა. მაგრამ, ამ მოვლენებზე ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსის და მედიის რეაქცია არაკონსტრუქციული და უშინაარსოა. სამწუხაროდ, ასეთი რეაქცია უკვე ტიპური გახდა და კავკასიის რეგიონზე არსებულ შეხედულებებში სჭარბობს: მისწრაფება სიმბოლიზმისკენ და არა რეალობის ასახვისკენ.

ასეა თუ ისე, კრიტიკოსებს, რომლებიც დომინირებენ, მიაჩნიათ, რომ მერაბიშვილის დაკავება უმიზეზო პოლიტიკური დევნის მაგალითია, ხოლო კვირანახევარი ძალიან დიდი დრო ყოფილა იმისთვის, რომ სახელმწიფოს 17 მაისის მოვლენებში მონაწილე რვა პირი დაეპატიმრებინა. აი, ამგვარი წინააღმდეგობრიობა ახასიათებს დასავლურ მედიას ქართული პოლიტიკის გაშუქებისას, თუკი ის საერთოდ დაინტერესდება ხოლმე მისით.

უდავოა, რომ 17 მაისის დარბევაზე პასუხისმგებელი ადამიანები უნდა დაისაჯონ. და საქართველოს მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს; ნამდვილი დემოკრატია ფეხს ვერ მოიკიდებს უმცირესობათა უფლებების პატივისცემის გარეშე. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველების უმრავლესობა (2011 წლის მონაცემებით — 88%) ჰომოსექსუალიზმს არ იწონებს, გადაჭარბებულია ვარაუდი იმის თაობაზე, რომ რამდენიმე ათასი რადიკალი, რომელიც ქუჩაში გამოვიდა და თავს დაესხა მშვიდობიან აქციას, სტატისტიკურად მთელ საქართველოს ასახავს. შესაძლოა, მოსახლეობის უმრავლესობისთვის ალტერნატიული ცხოვრების წესი კომფორტული არ არის, მაგრამ 17 მაისი არ იყო ჩვეულებრივი, იმპროვიზებული შეკრება. კარგად კოორდინირებული კონტრდემონსტრაცია უბრალოდ ბოლო ქმედება იყო იმ ექსტრემისტული ჯგუფებისა, რომლებიც მზარდი დაუსჯელობის განცდით ბოლო წლების განმავლობაში პერიოდულად თავს ესხმიან სექსუალურ უმცირესობათა დამცველებს, ლიბერალებს და ჰელოუინზე შეკრებილთ.

დასავლელი ჩინოვნიკების და ლიდერების რეაქცია ისეთივე არაპროდუქტიულია, როგორი არასწორიცაა ის, რომ ამ ძალადობაში მოქმედი მთავრობაა დამნაშავე. მართალია, ის აშკარად მოუმზადებელი შეხვდა ძალადობის აფეთქებას, თუმცა მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უმალ დაიწყო დამნაშავეების დაკავება და უმცირესობების უფლებების დაცვაზე ლაპარაკი, მათ შორის, მნიშვნელოვანია, რომ ამის შესახებ ითქვა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ მიმართვაშიც.

ბევრი დასავლელი დამკვირვებელი არასწორად აღიქვამს მოვლენებს, როდესაც 17 მაისის ტრაგედიას და მერაბიშვილის დაპატიმრებას ამ მთავრობის მახასიათებლებად მიიჩნევს. კრიტიკოსების აზრით, 17 მაისი მისი რეტროგრადული ღირებულებების გამოხატულება იყო, ხოლო მერაბიშვილის დაპატიმრება სადამსჯელო, რეპრესიული პოლიტიკის ნიშანია. და მაინც, მიუხედავად დაკავებულების თუ დასაკითხად დაბარებული ადამიანების რიცხვისა ოქტომბრის შემდეგ, ხელისუფლებაში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, მთლიანობაში მაღალი რანგის ჩინოვნიკებიდან მხოლოდ ორი — ციხეების ყოფილი უფროსი ბაჩო ახალაია და ახლა ვანო მერაბიშვილი არიან წინასწარ პატიმრობაში. იმავდროულად, შარშან შემოდგომაზე ციხის დანაშაულობებთან დაკავშირებული ქვედა რგოლის მოხელეებისთვის გამოტანილი განაჩენები გასაოცრად რბილი აღმოჩნდა. ეს რეპრესიები არ არის.

სერიოზულ ქართველ მიმომხილველებს შორის, მერაბიშვილის დაპატიმრება არაფრით გამორჩეული მოვლენაა. იმ დროს, როდესაც მისი დაპატიმრების დრო შესაძლოა გარკვეული თვალსაზრისით უსარგებლო იყო, თითქმის ყველა ის სკანდალი, რომელიც ყოფილი ხელისუფლების პირობებში ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას ეხება, მის სახელს უკავშირდება. შემოდგომის ციხის სკანდალში მერაბიშვილს ადანაშაულებდნენ, რომ ჩანაწერების გაკეთების ბრძანება მან გასცა. შარშან აგვისტოში, გაურკვეველ სროლებში ამოუცნობ მებრძოლებს და საქართველოს სპეცდანაყოფებს შორის, საქართველოს სახალხო დამცველი და დამოუკიდებელი ჟურნალისტი მებრძოლებს მერაბიშვილის შინაგან საქმეთა სამინისტროს უკავშირებს. მერაბიშვილის სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან, ახალგაზრდის, რომელმაც სავარაუდოდ საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როდესაც ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის ცოლს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. საინტერესოა, რომ მერაბიშვილს ხშირად მისი მიღწევების შესახებ ლაპარაკით იცავენ და არა მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებების უარყოფით. მიუხედავად იმისა, რომ მერაბიშვილი შეიძლება უბრალოდ გარემოებების და ასოციაციების მსხვერპლია, მის დაჭერაში არაფერი მოულოდნელი არ არის.

მაისში, ქართულ სააგენტო Inter Press News-სთან ინტერვიუში, ინტერვიუერმა სკეპტიკურად მკითხა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება დასავლელი კრიტიკოსები ასეთი ენერგიულობით უდგებოდნენ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის შემაშფოთებელ როლს 17 მაისის მოვლენებში, მაგრამ არ იმჩნევდნენ წინა ხელისუფლების ბოროტმოქმედებებს. კარგი პასუხი არ მქონდა. ამ უთანაბრობის შელამაზებას შევეცადე და კვლავ იმის აუცილებლობაზე დავიწყე ლაპარაკი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პასუხი აგონ მათ, ვინც დანაშაულებრივ ქმედებას ჩადის. მაგრამ არის რაღაც უხერხული იმ მეთოდებში, რომლითაც ბევრი ჩვენგანი დასავლეთში ცდილობს ჩვენი ღირებულებების პოპულარიზაციას და არაფრად აგდებს, ან გმობს კიდეც, ადგილობრივი პრიორიტეტების ლეგიტიმურობას. ბევრი ქართველისთვის ეს ყველაზე კარგ შემთხვევაში ქედმაღლობა, ხოლო უარესში — ორგულობაა.

ყველა შემთხვევაში, დასავლეთი გულწრფელი უნდა იყოს და ხმამაღლა უნდა მოუწოდებდეს უმცირესობების უფლებების პატივისცემისკენ. სექსუალური ან სხვა უმცირესობების წინააღმდეგ ძალადობას არ შეიძლება იზიარებდეს დემოკრატიული საზოგადოება, განსაკუთრებით ისეთი, რომელსაც დიდი ხნის მისწრაფება აქვს ევროატლანტიკური თანამეგობრობისკენ. მაგრამ, იმავდროულად, ლეგიტიმურად უნდა იყოს აღქმული ძველი რეჟიმის ექსცესების აღმოფხვრაც. ქართველთა უმრავლესობისთვის, ის, რომ წინა მთავრობა ძალაუფლებას ბოროტად იყენებდა, რეალობაა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა აზრით, დასავლური დედაქალაქები წინა არჩევნებზე მხარს უჭერდნენ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, თბილისი მტკიცედ პროდასავლურ პოზიციას ინარჩუნებს. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს მხარდაჭერა ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი ძალიან მტკიცეა. მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, როდესაც საქართველოში შედარებით ღიად და ზედმიწევნით ჩატარებული გამოძიებები, პოსტსაბჭოთა, რევანშისტულ პოლიტიკად ინათლება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დასავლელი მიმოხილველები მუდმივად მონდომებით ანიჭებენ ტექტონურ მნიშვნელობას მოვლენებს, რომელთა მნიშვნელობაც ბევრად უფრო პროზაულია. 17 მაისი არ არის იმის დასტური, რომ საქართველო ნელ-ნელა რადიკალური თეოკრატიისკენ მიექანება, მერაბიშვილის დაპატიმრება არ მიანიშნებს რეპრესიების ტალღის აზვირთებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ წინა მთავრობას კარგად ესმოდა სიმბოლიზმის პოლიტიკური ძალა, საქართველო სულაც არ არის სიმბოლო, ეს რეალური ადგილია რეალური ხდომილებებით. დასავლეთმა არ უნდა აღიქვას საქართველო მსოფლიოში საკუთარი პოზიციის ანარეკლად, ან ლიბერალური ღირებულებების არასწორ საზომად. 17 მაისი ან მერაბიშვილის პატიმრობა სულაც არ არის იმის მეტაფორა, რომ კანონის უზენაესობას კორუფცია დაუპირისპირდა, ის არც რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირების მეტაფორაა და არც ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების.

დასავლეთმა ყველაფერი უნდა გააკეთოს საქართველოს დასახმარებლად, იმისთვის, რომ ის ინკლუზიურ და ნამდვილად დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბდეს. მაგრამ ჩვენ არ ვუწყობთ ხელს გრძელვადიან პროცესს, როდესაც თბილისი ცდილობს გაუმკლავდეს წარსულ უსამართლობას, არამედ მას პოლიტიკურ რეპრესიებს ვაბრალებთ და არარელევანტურად ვადარებთ უკრაინას. თუ დასავლეთი სერიოზულად აპირებს დემოკრატიის გავრცელებას, მან თბილისს უნდა ურჩიოს, წარსულში ჩადენილი დანაშაულებების პრობლემა გადწყვიტოს, იმის ნაცვლად, რომ ისე მოიქცეს, თითქოს ასეთი არაფერი მომხდარა.

მაიკლ ჩეჩირე
The AMERICAN INTEREST

დედამიწის ზურგზე

„გავიხდიდი მთელ „ტანსაცმელს“: ჟურნალისტებმა მოიპოვეს ჩანაწერები, თუ მონიკა ლევინსკი როგორ აცდუნებდა ბილ კლინტონს

ტაბლოიდი, რომელიც წარმოგვიდგენს თეთრი სახლის ყოფილი სტაჟიორის თითქმის ოთხწუთიან მონოლოგს, გვარწმუნებს, რომ ადრე ეს ფირი განადგურებულად ითვლებოდა. ჩანაწერში, ჟურნალისტების მონაცემებით, მონიკა დაბეჯითებით სთავაზობს თავის თავს და აცნობებს გეგმას, თუ როგორ გააკეთოს ისე, რომ ვერავინ დააფიქსიროს მისი მორიგი რანდევუ პრეზიდენტთან.

* * *

დინოზავრების ჩონჩხები, რომლებიც სასიკვდილოდ იძვნენ ერთმანეთთან შეტაკებული, გამოიტანეს აუქციონზე

პალეონტოლოგების აზრით, ერთ-ერთი დინოზავრი ტირანოზავრ-რექსის ნათესავია, მეორე ეკუთვნის სახეობას, რომელიც ტრიცერატოპსს ჰგავს. ჩონჩხები გასაყიდად გამოიტანა რანჩოს მფლობელმა მონტანაში, რომლის ტერიტორიაზეც აღმოაჩინეს ნამარხი ნაშთები 2006 წელს.

* * *

„ვიკილიქსის“ ინფორმატორის ადვოკატებმა, ახალი სარჩელები შეიტანეს, ცდილობენ სასჯელის შემსუბუქებას

ახლა მთავარი მნიშვნელობა ექნება სასჯელის ხანგრძლივობას, განაცხადა დამცველმა დევიდ კემბსმა. 25 წლის ბრედლი მენინგს, როგორც ცნობილია, ელოდება სასჯელი 136 წლის პატიმრობით. სასამართლო მოსმენა 23 აგვისტომდე გაგრძელდება.

* * *

აშშ-მა შეამსუბუქა სავიზო რეჟიმი კუბასთან დაკავშირებით

1 აგვისტოდან გაიზარდა არაიმიგრაციული შესასვლელი ვიზების მოქმედების ვადა, რომელიც გაიცემოდა კუბელებზე 5 წლამდე. ამას გარდა, ეს ვიზები მრავალგზისი იქნება. ადრე ასეთი ტიპის ვიზები ერთვადიანი იყო და გაიცემოდა მხოლოდ ექვსი თვით.

◎ ტურიზმი

ძვირფასიანი რეკლამა და „კაპიკიანი“ შედეგი

CNN-ზე საქართველოს რეკლამირებისთვის 27 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯა

ტურიზმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი სიგუას გადაწყვეტილებამ, BBC-სა და CNN-ზე რეკლამების განთავსებაზე თანხა აღარ დაიხარჯებაო, სააკაშვილი გაანაწყენინა.

გიორგი სიგუა აცხადებს, რომ ამ გადაწყვეტილების მიზეზი ზემოხსენებული ტელევიზიების მიერ რეკლამებზე დაწესებული მაღალი ტარიფებია. მისი მტკიცებით, წინა ხელისუფლებამ მხოლოდ CNN-ზე საქართველოს რეკლამირებისთვის 27 მილიონი აშშ დოლარი დახარჯა, მიღებული შედეგი კი არცთუ ისე ეფექტურია. კერძოდ, წელიწადში, საშუალოდ, ამერიკიდან საქართველოში 20 ათასი საერთაშორისო მოგზაური შემოდის, საიდანაც ტურისტი არის მხოლოდ 7-8 ათასი. ამიტომ 7 ათასი ტურისტისთვის 27 მილიონი არ უნდა გაიფლანგოს და მიზნობრივ ბაზრებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი.

ამის საპასუხოდ მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ BBC-სა და CNN-ზე რეკლამირებას ტურიზმის პოპულარიზაციის გარდა, უსაფრთხოების დატვირთვაც ჰქონდა.

„რაც მე დაცინვა ავიტანე ბოლო წლებში ტურიზმის რეკლამირებასთან დაკავშირებული, რაც მე ათასგვარი უმსგავსობები მოვისმინე, რომ საქართველოში ტურიზმი, სასაცილოა და სააკაშვილის სიგიჟეაო (სიტყვა „გიჟი“ ყველაზე ხშირად ისმოდა იმასთან დაკავშირებით, რასაც ტურიზმთან მიმართებაში ვაკეთებდი), ერთადერთი, რაც აცოცხლებს ქართულ ეკონომიკას და არის ჩვენს მიერ შექმნილი, მათ მიერ დაწუნებული ტურიზმია. მაგრამ ამას თუ მუდმივად წყალი არ უსხი, გაიფურჩქნება და დაჭკნება. წყალი არის უსაფრთხოება, წყალი არის რეკლამა, წყალი არის ქვეყანაში დადებითი კლიმატი“, — განაცხადა სააკაშვილმა.

უკვე ცნობილია, რომ ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისთვის საქართველომ უკრაინის სამ ქალაქში — კიევში, ხარკოვსა და დონეცკში ფართომასშტაბიანი სარეკლამო კამპანია დაიწყო.

ცნობილია ისიც, რომ უკრაინა საქართველოსთვის ერთ-ერთი პირველადი მიზნობრივი ტურისტული ბაზარია. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2011 წელს უკრაინიდან საქართველოში 58 966 ტურისტი შემოვიდა, ხოლო 2011 წლიდან 2012 წლამდე დაფიქსირდა უკრაინიდან ტურისტების 29%-იანი ზრდა.

ამ დროისთვის, 2013 წლის პირველ 6 თვეში უკრაინიდან საქართველოში 49 887 საერთაშორისო მოგზაური ჩამოვიდა, რაც შარშანდელი ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 73%-ით აღემატება.

საქართველოს ტურისტული პოტენციალის სატელევიზიო რეკლამირების შესახებ For.ge-სთან საუბარში საკუთარ აზრს გამოთქვამს აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე დემურ დიასამიძე. მისი თქმით, რა თქმა უნდა, BBC-სა და CNN-ზე რეკლამის განთავსება კარგია, მაგრამ მთავარია, რეალურად ვინ არის ჩვენი ტურისტული ინფრასტრუქტურის პოტენციური მომხმარებელი, რამდენად მოიცავს BBC და CNN პოტენციური კლიენტებისა და მომხმარებლების საჭიროებას, ვისაც უნდა მივაწოდოთ რეკლამა. ამიტომ დემურ დიასამიძის შეფასებით, საჭირო კონკრეტული ბაზრების, კონკრეტული სეგმენტების დეტალური შესწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნას მიწოდებული რეკლამა, რათა ჩვენი პოტენციური სტუმარი დავაინტერესოთ.

„BBC და CNN არის სულ სხვა სეგმენტი, რომლის მომხმარებელთა მხოლოდ მცირე ნაწილი ჩამოდის საქართველოში. დღევანდელ ვითარებაში კი ჩვენი კონკრეტული სამიზნე ქვეყნებია პოლონეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ბელორუსია, ისრაელი და ყაზახეთი. სწორედ ამ ქვეყნებში ვაწარმოებთ რეკლამას. თუმცა სამომავლოდ, შესაძლოა, მათ კიდევ შეემატოს ახალი სამიზნე ქვეყნები“, — აღნიშნა დემურ დიასამიძემ ჩვენთან საუბარში.

მანვე განმარტა, რომ გასულ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით, დაახლოებით 30%-იანი ზრდა აღინიშნება და აღნიშნული მონაცემები ითვლება სასტუმროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. იქიდან გამომდინარე, რომ თურქეთი მეზობელი რეგიონია, ცხადია, ამ ქვეყნიდან ჭარბობს ტურისტების რაოდენობა, თუმცა შესამჩნევი ზრდა გვაქვს უკრაინის, პოლონეთისა და რუსეთის მიმართულებითაც.

დემურ დიასამიძის თქმით, აჭარის მთავარი „პროდუქტია“ ბათუმი და ზღვა. შესაბამისად, ტურისტებს ყველაზე მეტად ბათუმი იზიდავთ. ის, რომ მოსახლეობა ჩივის, რომ ჩვენთან ფასები მაღალია, ხოლო მომსახურება თურქეთის სხვა კურორტებთან შედარებით, დაბალი, დემურ გიორხელიძეს თავისუფალი ბაზრის პრინციპად მიაჩნია. მისი თქმით, სახელმწიფო ვერ ჩაერევა კერძო სექტორის საბაზრო პოლიტიკაში, რადგან ეს ეწინააღმდეგება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. შესაბამისად, ფასი თუ მაღალია, ეს უნდა დაარეგულიროს ბაზარმა და არა სახელმწიფომ.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორხელიძე მიიჩნევს, რომ მარტო CNN-ზე სარეკლამოდ გაღებული 27 მილიონი დოლარი სერიოზული თანხაა და საინტერესოა, შესაძლებელია კი, საქართველო საკუთარ თავს აძლევდეს იმის უფლებას, რომ ეს თანხა რეკლამაში გადაყაროს?

„თავის მხრივ, რეკლამა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, გააჩნია, ეს არის წმინდა წყლის მოგებაზე გათვლილი, თუ ამას არაფერი უდევს საფუძვლად. რეალურად, საქართველოს ამ რეკლამის სანაცვლოდ მოგება არ ჰქონია და ეს იყო წინა ხელისუფლების ახირება, თითქოსდა, გრანდიოზულ ტურისტულ ქვეყნად აპირებდნენ საქართველოს გადაქცევას. ამაშიც ისინი მზაკვრული გეგმის ფარგლებში მოქმედებდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, 2 და 3 მილიონი ტურისტი საქართველოში რომ ჩამოვიდეს, ხომ დაიღუპა ქვეყანა, რადგან მთელი მოსახლეობა ტურისტების მომსახურე ვერ გახდება, მით უმეტეს, ასეთი ატროფირებული ფორმით. ამიტომ ყველაფერს სწორი გათვლა სჭირდება, ტურიზმი ერთი ნორმალური სექტორია საქართველოს ეკონომიკისთვის და ასე იქნება მომავალშიც, მაგრამ მისი გადამეტებული შეფასება არ შეიძლება“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში დემურ გიორხელიძემ.

ამასთან, ტურისტული მექის ისეთი ქვეყნების მაგალითიც გაიხსენა, როგორებიც ესპანეთი და საბერძნეთია, თუმცა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს ეს ქვეყნები საშინელი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდნენ, რადგან კრიზისის გამო ადამიანები ვერ ჩავიდნენ სამოგზაუროდ ამ ქვეყნებში. ამდენად, ექსპერტი მიიჩნევს, რომ, მართალია, ჩვენ ესპანეთის და საბერძნეთის დონემდე ვერ მივალთ, მაგრამ ცოტა სხვა ტიპის ტურიზმი უნდა განვითარდეს საქართველოში და სწორი პოლიტიკის ფარგლებში ესეც განსასაზღვრია.

მანანა ნოზაძე

◎ ორი სათრეველა

უთავო კისერი

რომ გადაურჩნენ „ვაის“ მელები,
კუდით კვალს შლიან პრაიმერებით
და სისხლიანი სოროს ხვრელები
უკვე ჩაფარცხეს სხვა სახელებით.

თუმცა ცხადია, თანაც უდავო,
მიხო რომ ოთხად დაახურდავონ
და ტანსაცმელიც გაუუთავონ;
ნაცის კისერი რჩება უთავოდ!

პრაიმერი, ისევ პრაიმერი!

არ ახსენებს ხალხის განცდილს,
რის ამერი, რა იმერი?
იგივ ნაცი, ვინც ღღინს გვაცლის
ყელყელაობს პრაიმერით.
ვკითხოთ დავით ბაქრაძესა,
სიცრუით რომ გვბერავს დღესაც,
ნულოვანი ტოლორანტის
ფსონი მისი ძირს რად ძევსა?
კვალი რჩება სისხლიანი
ნაცისტების გზა-შარაზე,
მოკლეს სანდრო გირგვლიანი,
რომაქიძე და შარაძე.
ცდილობს გული აგვიჩვილოს,
პრეზიდენტის სკამს ვინც ნატრობს,
არადა რომ აირჩიონ,
მზად ბრძანდება ქვეყნის სამტროდ.
ამას ითხოვს გრანტები და
სოროსელთა ნასუფრალი...
ვინც გვაცდუნა ვარდებითა,
მიუტევებს მას უფალი?!

ალექსანდრე შენგელია

◎ ფეისბუქიდან

წერტილოვანი ფრაზები

● 1995 — წლის ვიპუსკის, განბაჟებული მოქკავშირელის ნაცმოძრაობიდან ოცნებაში გადაფორმება რამდენი ჯდება?

● ამ პატარა, ერთი მუჭა ქვეყნის დალაგებას 20 წელი რად უნდა? ნება უნდა ბატონებო, პოლიტიკური ნება. მართალი, პატიოსანი და მცოდნე ადამიანების კარდაკარ მოძებნა, ნორმალური კანონების მიღება და სამართლიანი სასამართლო. თორე ასე როგორც ეხლა მიდის საქმე, ვშიშობ, 20 კი არა 120 წელიც არაფერი შეიცვლება.

● ახალი ხელისუფლების ზოგიერთ მგზნებარე მხარდამჭერს ვეუბნები: თუ გგონიათ, რომ ხელისუფლების მხარდაჭერა მხოლოდ აღგზნებული, პოზიტიური კომენტარებით გამოიხატება, მწარედ ცდებით. ამ ხელისუფლებას დღეს „ვაზელინიანი“ განწყობის ნაცვლად, ცივი შხაპი უფრო სჭრდება და თუ ეს ვერ გაგიგიათ, ან დასაქმებული ხართ და სამსახურის დაკარგვის გეშინიათ (გარწმუნებთ, არ გაგათავისუფლებენ, ესენი „ისინი“ არ არიან), ან... უბრალოდ, ინერციით გაქვთ გამოყოლილი შიში და მხარდაჭერის გამოხატვას მხოლოდ ქება-დიდებით ცდილობთ, ფუჭი და არასასარგებლოა ამ ტიპის დამოკიდებულება.

● პრეზიდენტი დიდი ხანია გვიწყალებს...
ყველას გვიწყალებს...
მაგრად გვიწყალებს...
გულს ! ! !

● ბოლო დროს ბევრს საუბრობენ 20 000, თუ მეტი ფაილის შესახებ. მაინტერესებს, კონკრეტულად ვინ, რომელმა თანამდებობის პირმა, თუ ექსპერტმა ნახეს ეს მასალა (სახელებით და გვარებით უნდა ვიცოდეთ) და რამდენად არის დაცული ფაილებში წარმოდგენილი ადამიანების უმრავლესობა იმისგან, რომ მათზე არასდროს გავრცელდება შანტაჟი? მოულოდნელად რომელიმე პატივცემული ექსპერტი რომ გაგიჟდეს და რაც ნახა, ის ინფორმაცია გაავრცელოს, ვინ და როგორ დაიცავს კონკრეტული ადამიანის უფლებებს?! ვიდეო არ გავრცელდა, განადგურდა, მაგრამ გავრცელდა ინფორმაცია, — ვიდეოში ასახული ფაქტების შესახებ, ა?...

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ წკეპლიკა

კაცი - ტყუილი

და მოევლინა ქვეყანას დიდი ტყუილი სახითა კაცისა. კაცი იგი იყო აღსავსე შურითა, ბოღმითა, ანგარებითა, მზაკვრობითა, სიბრიყვითა და ამრავლა ქვეყანასა შინა ქაჯნი, განავრცო სიბნელე სოფლისა, გაამეფა შიში, განუკითხაობა, გაუმაძღრობა, მრუშობა, უვიცობა, შეებრძოლა სიტყვასა მართალსა, შეუტია ეროვნულობასა, ხელყო სიმდიდრე ქვეყნისა, იწყო ბოძება ძირძველი მიწებისა მტერთათვის.

არ ცხრება კაცი-ტყუილი, მას კიდევ უკანონოდ მითვისებული დრო დარჩა მავნებლობისათვის. აი, ამნისტიით ათავისუფლებს საშიშ დამნაშავეებს, ისინი ხომ მისთვის ოქროს ფონდს წარმოადგენენ; ერთ დროს მის ამერიკელ მფარველებსაც არ ინდობს, თავისი უსაფრთხოების მიზნით მათ ჩაშვებით ემუქრება. არ იშურებს ხალხისაგან მოპარული ფულებით ლობისტების დაქირავებას, საერთაშორისო საზოგადოებას აწვდის საოცრად ტყუილ ინფორმაციას არსებული ხელისუფლების საქმიანობის შესახებ; თამაშობს ვეტოს დადებით პარლამენტის მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტებზე და მრავალი სხვა.

როდემდე, კაცო-ტყუილო? შენი ტყუილის ფარდა ერთობ დაიძენძა, ვერ გფარავს, ბოლომდე გაშიშვლდი, კაცო-ტყუილო!

ლონდა მდივანი

◎ სიმართლე კი ასეთია

პატარკაციშვილის ოჯახის წევრები: „დინამო“ უსასყიდლოდ გავასხვისეთ

გარდაცვლილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრებმა საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ გასხვისებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელეს.

გთავაზობთ განცხადების ტექსტს, რომელიც „დინამოს“ „ფეისბუქის“ გვერდზე დაიდო:

„ბოლო დროს პრესაში გამოქვეყნებულმა პუბლიკაციებმა გადაგვაწყვეტინა ამ განცხადების გაკეთება. ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ ჩვენი ოჯახი აგრძელებდა საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ დაფინანსებას და მის განვითარებას. თუმცა, იმ ზეწოლის გამო, რომელიც ხორციელდებოდა წინა ხელისუფლების მიერ ჩვენი ოჯახისა და მის მფლობელობაში არსებულ აქტივებზე, „დინამოს“ შემდგომი განვითარება დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ. ჩვენ ამონაწერებსაც კი ვერ ვიღებდით

კლუბის შესახებ რეესტრიდან, რომ მას მისცემოდა საშუალება თამაშებზე პრობლემების გარეშე გამგზავრებულიყო. ამიტომ, კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, გვეპოვა ინვესტორი, რომელიც შეძლებდა კლუბის გადარჩენას და განვითარებას. ჩვენ თვითონ მივმართეთ და ლონდონში შევხვდით ბატონ რომან ფიფიას და ვკითხეთ, აინტერესებდა თუ არა „დინამოს“შემდგომი განვითარება, თუ კი ჩვენ მას უსასყიდლოდ გადავცემდით კლუბს. თანხმობის მიღებიდან მოკლე ხანში კლუბი გავასხვისეთ უსასყიდლოდ, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე ბატონი რომან ფიფიას მხრიდან. მეტიც, ჩვენ გვიხარია, რომ ის არ იშურებს ძალ-ღონესა და სახსრებს „დინამოს“ განვითარებისთვის და წარმატებას ვუსურვებთ მას და ჩვენ საყვარელ „დინამოს“. იმედი გვაქვს, რომ ეს განცხადება ბოლოს მოუღებს სპეკულაციებს ჩვენს მიერ „დინამოს“ გასხვისებასთან დაკავშირებით“

გიორგი შოთაძე

◎ თაობა

ძიუდოს გაკვეთილები სკოლებში

ყვარელში დაიწყო სემინარი თემაზე „ძიუდოს გაკვეთილები სკოლაში“ — „Judo lessons at school“. საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ სემინარის ჩასატარებლად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დახმარებით, მოიწვია მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუქტორები იაპონელი ჰიროში კატანიში და ფრანგი პატრიკ რუქსი.

მრავალი წელია ევროპის ძიუდოს კავშირი მოზარდთა ფიზიკური აღზრდისა და განათლებისთვის ახორციელებს პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს სკოლებში ძიუდოს სწავლებას 8-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. ამ პროგრამაში ჩართვით საქართველო უერთდება მემორანდუმს „ძიუდოს გაკვეთილები სკოლაში“.

პირველ ეტაპზე საპილოტო პროგრამა განხორციელდება ყვარლის მუნიციპალიტეტის სკოლებში და დაიწყება 2013 წლის სექტემბერში. ჰიროში კატანიშიმ და პატრიკ რუქსმა სკოლების დირექტორებსა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს აუხსნეს პროგრამის მნიშვნელობა, აჩვენეს პრაქტიკული სავარჯიშოები, წარუდგინეს სახელმძღვანელო ლიტერატურა და ვიდეოგაკვეთილები, რამაც პედაგოგთა დიდი ინტერესი გამოიწვია. პროგრამა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით ყვარლის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან ერთად და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი და ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით ქევხიშვილი.

იმავე დღეს ჰიროში კატანიშიმ და პატრიკ რუქსმა ყვარლის სპორტის სასახლეში სემინარი ჩაუტარეს საქართველოს ყველა რეგიონიდან მოწვეულ პროფესიონალ მწვრთნელებს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ გეისბოლი

სამეზობლო სერია

საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის ორგანიზებით თბილისში საქართველოსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის ბეისბოლისტთა ეროვნული ნაკრებების ამხანაგური მატჩების სერია გაიმართა.

საქართველოს ნაკრებმა მთავარ მწვრთნელ ნუგზარ კაპანაძის ხელმძღვანელობით სამივე შეხვედრაში გაიმარჯვა - 13:5, 15:8 და 21:5. პირველი შეხვედრა სპორტკომპლექს „მერანის“ სტადიონზე გაიმართა, მეორე და მესამე მატჩებს კი თემქაზე მდებარე სპორტკომპლექს „შატილის“ მოედანმა უმასპინძლა.

აღნიშნულ მატჩებს ბეისბოლისა და სოფტბოლის ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენები და მოყვარულები, ბავშვთა კლუბები, ირანული დიასპორის წარმომადგენლები, დიპლომატები, მედიის წარმომადგენლები და სხვა საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ, ხოლო დასკვნით შეხვედრაზე იმყოფებოდა სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში კონსტანტინე სურგულაძე.

ბეისბოლისა და სოფტბოლის ეროვნული ფედერაცია მომავალშიც გეგმავს საერთაშორისო ტურნირების ორგანიზებას სხვადასხვა ქვეყნების ფედერაციებთან და კლუბებთან თანამშრომლობით, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო სპორტული ურთიერთობების გაღრმავებას და ბეისბოლისა და სოფტბოლის განვითარებას საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ სექტემბერში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ბუენოს აირესის კონგრესზე ბეისბოლისა და სოფტბოლის ოლიმპიურ სახეობათა ნუსხაში დაბრუნების საკითხს განიხილავს.

გეჟან დოლიძე

◎ ჩოგბურთი

ნადალი ბრალდებას უარყოფს და მონრეალისთვის ემზადება

ნოვაკ ჯოკოვიჩის მამამ სრდანმა საკმაოდ უდიერად მოიხსენია მისი შვილის უმთავრესი კონკურენტები როჯერ ფედერერი და რაფა ნადალი. შვეიცარიელთან დაკავშირებით ჯოკოვიჩ-უფროსმა განაცხადა, შესაძლოა ფედერერი პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელიც კი იყოს, მაგრამ ადამიანური თვისებებით გამორჩეული ნამდვილად არაა. ნადალს რაც შეეხება, „ნოლეს“ მშობელმა ხაზი გაუსვა, ნოვაკის პირველ ჩოგნად გახდომამდე რაფა ჩემ შვილთან მეგობრობდა, ახლა კი მისი შურს და პოზიცია შეიცვალაო. სრდან ჯოკოვიჩს მხოლოდ ენდი მარეი არ გაუკრიტიკებია, პირიქით, შოტლანდიელი კარგ პიროვნებად მოიხსენია.

უფროსი ჯოკოვიჩის სიტყვებს რაფა ნადალი გამოეხმაურა. „უმჯობესი იქნება, თუკი მამა-შვილი ერთმანეთს დაელაპარაკება და შექმნილ სიტუაციასაც გაარკვევს. ნოვაკთან უთანხმოება არასდროს მომსვლია. მე მისთვის ბევრჯერ მომიგია, მასაც საკმარისი რაოდენობით დავუმარცხებივარ, მაგრამ ერთმანეთთან ურთიერთობისას პრობლემები არ შეგვქმნია. საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს, ჩემი საქმეც არაა მათი კომენტირება, მაგრამ როდესაც არასწორად მაკრიტიკებენ, უფლებას ვიტოვებ საწინააღმდეგო თვალსაზრისი საჩოგბურთო საზოგადოებას გავაცნო“, — ნადალის პოზიცია ამერიკულ ვებგვერდს tenisweb.com-ს მოჰყავს.

ამასთან, რაფამ სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა: „სეზონის პირველ ნაწილში ბევრ წარმატებას მივაღწიე და ახლა ჩემი მიზანი სამომავლო ტურნირებისთვის სათანადო მზადყოფნაა“. ნადალს უიმბლდონის შემდეგ არ უთამაშია (ამ ტურნირზე მალიორკელი პირველსავე წრეში დამარცხდა), მშობლიურ მალიორკაში ვარჯიშობდა, 5 აგვისტოდან კი კანადის კვებეკის შტატის ქალაქ მონრეალის შეჯიბრებაში ჩაებმება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სეზონის წინ

ჩავი: ნეიმარი და მესი ერთმანეთს გააძლიერებენ

„ბარსელონას“ ერთ-ერთმა ლიდერმა ჩავი ერნანდესმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე არაერთ საინტერესო თემაზე ისაუბრა. 33 წლის კატალონიელმა კომენტარი „რეალზე“, ფაბრეგასზე, ტიაგოსა და ნეიმარზე გააკეთა.

„ნეიმარი ის ფეხბურთელია, რომელსაც გუნდებს შორის სხვაობის შექმნა შეუძლია. მას შეუძლია გატანა და თამაშის მიმდინარეობის შეცვლა. ის ბრწყინვალე ფეხბურთელია, რომლის თამაშითაც სიამოვნებას მივიღებთ. ნეიმარს ადაპტაციასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ ექნება. ის და მესი ერთმანეთს უკეთესს გახდიან.“

„შეცდომა იყო თუ არა ტიაგოს „ბაიერნში“ გადასვლა? ამას დრო გვიჩვენებს. ის დიდი ტალანტია, რომელმაც წასვლა გადაწყვიტა. „ბარსელონამ“ მომავალი ვარსკვლავი დაკარგა, მაგრამ ამ კლუბში ასეთები კვლავ არიან. მაგალითად, სერხი რობერტო.“

„ფაბრეგასი მშვიდი და მოტივირებულია. მის ტრანსფერთან დაკავშირებით სათქმელი არაფერია. გავრცელებული ინფორმაცია პრესის მიერ მოგონილი ჭორია.“

„რეალის“ თამაში თითქმის არ მინახავს. ვფიქრობ, მადრიდელები ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელებით საკმაოდ გაძლიერდნენ. ისინი ღირსეულ კონკურენციას გაგვიწევენ. „რეალი“, როგორც ყოველთვის, ტიტულებისთვის იბრძოლებს.

ბეილი? მისი მონაწილეობით სრული თამაში არ მინახავს. არ ვიცი, რამდენი ღირს ის.“ — აცხადებს ჩავი ერნანდესი.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ინტერნეტიდან

რიბერეების პრობლემები

მას შემდეგ, რაც ფრანგმა ფეხბურთელმა ფრენკ რიბერიმ ცოლის რჩევითა და ჩიჩინით ქრისტეს რჯული განაგდო და ისლამი აღიარა, რიბერის არაბი ცოლი ვაჰიბა რიბერი ბევრ ევროპელს შეძულდა. როგორც ვაჰიბამ ცოტა ხნის წინათ აღიარა, მის სახელზე არაერთი ლანძღვითა და კრულვით სავსე წერილი მიდის.

ისლამის მიღების შემდეგ პრობლემები საკუთარ ნათესავებთან რიბერისაც შეექმნა. მიუნჰენში მოთამაშე ფრანგი შემტევის პურიტანმა ნათესავებმა ფრენკზე უარი თქვეს და საჯაროდ განაცხადეს, რომ რჯულშეცვლილი ნათესავის რცხვენიათ და რიბერის ნათესავად არ თვლიან.

ვაჰიბა რიბერი ამბობს, რომ ვერ წარმოედგინა, თუკი ევროპაში მათ გადაწყვეტილებას ასეთი მძაფრი რეაქცია მოჰყვებოდა, თორემ ქმარს ისლამის მიღებას საერთოდ არ ურჩევდა. სამწუხაროდ, ვაჰიბას ის არ უთქვამს, რა მოხდება, არაბეთში მცხოვრებმა არაბმა ქრისტიანობა რომ მიიღოს...

◎ მეცნიერება

„მიმაჩნია, რომ მეცნიერება გეოგრაფია, რასაც გადავწყვიტე მოვკიდო ხელი, ისევე, როგორც ყველა სხვა მეცნიერებაც, შედის ფილოსოფიის საქმიანობის წრეში... ისინი ხომ ვინც პირველად გაბედა ჩასწვდომოდა მას, როგორც ერატოსფენი ამტკიცებს, ერთგვარი თვალსაზრისით ფილოსოფოსები იყვნენ: ჰომეროსი, ალექსანდრე მილეთიდან და ჰეკათეი, მისი თანამემამულე; შემდეგ დემოკრიტე, დიკარექი, ეფორი და ზოგიერთი მისი თანამედროვე. ფილოსოფოსები იყვნენ მათი საქმის გამგრძელებელიც: ერატოსფენი, პოლიბიუსი და პოსიდონიუსი. მეორე მხრივ, მხოლოდ დიდი განსწავლულობა იძლევა შესაძლებლობას ხელი მოვკიდოთ გეოგრაფიას“...



პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება ჩემთვის უფრო ძვირფასია

დიდი გეოგრაფიული გამოცანის ისტორია

ასე იწყება „გეოგრაფია“, დიდი ბერძენი მეცნიერის სტრაბონის ხელნაწერი. სტრაბონი წარმომავლობით იონიელი იყო, ესე იგი მცირე აზიელი და ჯერ მეფე მითრიდატ პონტოელის ქვეშევრდომი, შემდეგ კი რომის მოქალაქე. სწავლობდა სტრაბონი ტირანიონთან, არისტოფანესთან და ქსენარქოსთან. დიდ დროს უთმობდა ჰომეროსის ტექსტების შესწავლას.

მან ორი შრომა დაწერა –„ისტორია“ და „გეოგრაფია“. ჩვენამდე მხოლოდ მისმა უკანასკნელ შრომამ მიაღწია 17 წიგნად, რომლის წყალობითაც კარგადაა ცნობილი ძველების თვალსაზრისი დედამიწის აგებულების შესახებ.



სტრაბონმა თავის ნაშრომში აღწერა ევროპა, აფრიკა და აზია. ევროპა „გეოგრაფიაში“ იბერიის ნახევარკუნძულიდან იწყებოდა, მასში დაწვრილებით იყო აღწერილი საბერძნეთი და იტალია. სტრაბონის წარმოდგენით, აზია შედგებოდა სპარსეთისაგან, ბაბილონის, ინდოეთის, სომხეთის, პალესტინის, არაბეთის, ფინიკიისა და სხვა სახელმწიფოებისაგან. გეოგრაფი დასახლებული დედამიწის აღმოსავლეთ მხარედ ინდოეთს მიიჩნევდა, ჩინელებსაც ამ ქვეყნის ხალხს მიაკუთვნებდა.

სტრაბონის წიგნის მთავარი ღირსებაა – ქვეყნებისა და მათი ხალხების დაწვრილებითი აღწერა. ორ წიგნში სტრაბონი მსჯელობს გეოგრაფიული მეცნიერების ფილოსოფიაზე, ერთში აღწერს აფრიკას, ექვსში – აზიას. რვაში – ევროპას.

საიდან გაჩნდა ეს კარგი, საერთოდ, ცოდნა? მოგზაურებისა და ზღვაოსნებისაგან. სავაჭრო ქარავნებს ყველაზე ძველ დროსაც კი შეეძლოთ გადაეკვეთათ ქვეყნები და კონტინენტები, დაცურავდნენ ზღვებში სანაპიროებზე და არც ძალიან შორ მანძილებზე. ხომალდები გამოუსადეგარი იყო საცურაოდ ღია ზღვაში და, მით უმეტეს – ოკეანეში. მიზეზი – საიალქნო შეიარაღების სისუსტე. იგი ძველ ბერძნებს ჰქონდათ პრაქტიკულად ისეთივე, როგორც ტურ ჰეიერდალის ტივ „კონ-ტიკზე“. გავიხსენოთ, რომ „კონ-ტიკი“, როდესაც თანმდევი ქარით და დინებით გადაკვეთა ათასობით მილი, დაიმსხვრა პოლინეზიის ერთ-ერთი კუნძულის რიფზე, ვინაიდან მანევრირება არ შეეძლო. ასეთივე მოუქნელები იყო ძველბერძენთა ხომალდებიც.

ამ მიზეზის გამო ვერ აღმოაჩინეს ამერიკა ვერც ბერძნებმა, ვერ რომაელებმა, აფრიკასაც კი ვერ შემოუარეს. გავიხსენოთ, რომ ძლევამოსილი იულიუს კეისარი ერთობოდა მხოლოდ სამდინარო გასეირნებებით ნილოსზე კლეოპატრასთან ერთად.

ცნობათა კიდევ ერთი წყარო დედამიწის აგებულების შესახებ იყო უცხოელ პირთა მონათხრობები. სწორედ ასეთია სიძველის ყველაზე დამაინტრიგებელი გეოგრაფიული გამოცანის – ატლანტილის წარმომავლობაც.

მის შესახებ გვაცნობა პლატონმა თავის დიალოგებში „ტიმეი“ და „კრიტი“. თავად პლატონმა ატლანტიდის შესახებ კი – თავისი შორეული წინაპრის, სახელგანთქმული კანონმდებლის სოლონის ხელნაწერიდან. მას კი დიდი ცივილიზაციის დაღუპვის ისტორია ეგვიპტელმა ქურუმებმა აცნობეს. ჩვენს ერამდე ცხრა ათასი წლით ადრე ბერძნები ებრძოდნენ ძლიერ სახელმწიფოს სახელწოდებით ატლანტიდა და დაამარცხეს იგი. მაგრამ შემდეგ წყალდიდობებმა და მიწისძვრებმა დაანგრიეს ბერძნების ქალაქები. ატლანტიდა კი წყალქვეშ წავიდა.

თანამედროვე ისტორიკოსები ატლანტიდის ისტორიას ეპყრობიან, როგორც ლეგენდას. ეს, სხვათა შორის, უცნაურია, პლატინი ხომ ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერია და მისადმი, როგორც არაკეთილსინდისიერისადმი, საყვედური შეუძლებელია.

და აი თანამედროვე არქეოლოგის ებერჰარდ ცანგერის გამოკვლევებს შეუძლიათ ნათელი მოჰფინონ ამ დახლართულ ისტორიას. ცანგერმა გადაამოწმა ძველი თარგმანები, გაასწორა მათში აღმოჩენილი უზუსტობანი. და, რაც მთავარია – მან მოახდინა ძველეგვიპტური კალენდრების კორექტირება. და, მისი აზრით, ატლანტიდა – ესაა ნახევარკუნძული, ხოლო ბერძნების დიდი ბრძოლა ატლანტიდის მეფეებთან მიმდინარეობდა დაახლოებით 1207 წელს ჩვენს ერამდე.

ამ დროს ბერძნები მართლა აწარმოებდნენ ომს. მცირე აზიის ნახევარკუნძულზე. ბერძნულ ქრონიკებში მოყვანილია ტროაზე შეტევის თარიღი – 1209 წელი ჩვენს ერამდე.

ქურუმების მონათხრობი სოლონისათვის კატასტროფების შესახებ იმ პერიოდის – გვიანდელი ბრინჯაოს ეპოქის – რეალურ მოვლენებს ემთხვევა. მიკენის კულტურა და მისი ქალაქები თითქმის ელვისებურად განადგურდნენ. 1204 წელს ჩვენს ერამდე მიკენის ტირინფის ციხე ირყეოდა მიწისქვეშა სტიქიის დარტყმებისგან და იძირება მიწისქვეშა ტალახის ზვავში. თითქმის ერთდროულად იღუპებიან ქალაქები პილოსი და მიკენა. უმძიმესი წყალდიდობანი ამ დროს თავს ესხმიან ტროასაც.

ოდისევსისა და აქილევსის სამყარო დაიღუპა. დაინგრა ხმელთაშუაზღვის სავაჭრო სისტემა. დადგა ანტიკურობის ბნელი საუკუნეები და მხოლოდ 400 წლის შემდეგ გაისმა ჰომეროსის ხმა. მისი „ილიადა“ დაიწერა ცოტა ხნის წინათ გამოგონებული ანბანის დახმარებით.

სოლონის მონათხრობი კი ექვსი თაობის მანძილზე განიცდიდა დამახინჯებებს, ან იქნებ სოლონი თავად დაიბნა ტექსტებში, რომლებიც დაწერილი იყო ძველეგვიპტური ტაძრის სვეტზე.

რაც შეეხება კეთილსინდისიერ სტრაბონს, მისთვის პლატონისეული შტუდიების ფაქტოლოგიური მერყეობა ცხადი იყო. ისევე, როგორც სხვა ძველი გეოგრაფებისთვისაც. ამიტომ არც ერთი მათგანი ატლანტიდას არ ახსენებს.

თანამედროვე მეცნიერები ცხოვლად განიხილავენ ცანგერის აღმოჩენებს, ვისი მეცნიერული დასაბუთებულობა ეჭვსგარეშეა. თუ მისი დასკვნები დასაბუთდება, კაცობრიობა დაკარგავს ლამაზ ზღაპარს, თუმცა, გაამდიდრებს თავის ცოდნას ძველ რეალურ ისტორიაზე.

როგორც არისტოტელე ამბობდა „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია“.

Литературная Газета

24.30 ივლისი, 2013 წ.

ეპიტაფია

იაკობ ახუაშვილი



დიდი გულისტკივილითა და სინანულით ვიუწყებით, რომ 86 წლის ასაკში გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, თვალსაჩინო მეცნიერი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს ეროვნული და სოციალური ურთიერთობის აკადემიის აკადემიკოსი იაკობ ვარდოს ძე ახუაშვილი.

ბატონმა იაკობმა მთელი თავისი ხანგრძლივი და შეგნებული ცხოვრება მშობელი ქვეყნისა და ერის უანგარო სამსახურს შეალია, როგორც ერთგულმა შვილმა და მოჭირნახულე ადამიანმა. მას ძალიან უყვარდა თავისი ქვეყანა და საამისოდ ყველაფერს აკეთებდა მისი გაძლიერების, აღმავლობისა და წინსვლისათვის. იგი ვერ ეგუებოდა უკანონობას, უზნეობას და ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვას. სამეცნიერო-პედაგოგიურ და პუბლიცისტურ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში დიდ ადგილს უთმობდა ქვეყნის ეროვნულ პრობლემებს. უკომპრომისო ბრძოლას უცხადებდა „ვარდების რევოლუციის“ უსახურ ხელისუფლებას და პრესის ფურცლებზე ცხარედ აკრიტიკებდა მის ბნელ და მზაკვრულ ქმედებებს. მიუღებლად მიიჩნევდა ხელისუფლების უზნეო დამოკიდებულებას თანამემამულეებისადმი, რაც მის გულისტკივილს იწვევდა.

განსაკუთრებით დიდ შეფასებას იმსახურებს მისი ფუნდამენტური ნაშრომები – ქართული გვარ-სახელების შვიდტომეული, წართმეული გვარებისა და ეროვნების აღდგენის, წარმომავლობის ისტორიული ნარკვევები, რომლებიც საქართველოში სამაგიდო წიგნებად არის აღიარებული. ყოველი კაცისთვის დიდად სასურველი გახდა სცოდნოდა თავისი წარმომავლობის ისტორია, რაც ბატონმა იაკობმა დაუტოვა თავის ქვეყანას.

ბატონი იაკობი იყო საუკეთესო მეგობარი და მრჩეველი. მასთან თითოეული შეხვედრა ადამიანთა შორის ურთიერთობის სიმბოლო გახლდათ. იყო კარგი ორატორი, სასიამოვნო მთქმელი, ოჯახის მამა და ბაბუა.

დიდებულმა პიროვნებამ და ერისკაცმა 86 სანთელი დაანთო მშობლიური ქვეყნის საკურთხეველთან. ქართველ ერს დიდხანს, ძალიან დიდხანს გაჰყვება მის მიერ დანთებული სანთლების სურნელი, მადლი და მირონი.

ბატონი იაკობი ვალმოხდილი წავიდა წუთისოფლიდან და შეუერთდა მარადიულ ზეციურ ქართულ სამყაროს. მისი ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება მისი მეგობრებისა და ახლობლების ხსოვნაში.

უახლოესი მეგობრები:

ანზორ აბრალავა, ჯემალ და გიზო კუხალაშვილები, გურამ გოგიაშვილი, ვაჟა ბერიძე, ლერი კვაჭანტირაძე, თენგიზ დოდელია, ანა ძველიძე, ჯემალ ჯალიაშვილი, დავით ტარკაშვილი, კახა მაისურაძე, გივი მაისურაძე, ჯემალ ჯიძია, ნიაზ გოლძვაძე, ვანო პაპუნიძე, აკაკი ბერიძე, ჯემალ ჯანაშია.

სანთელი

ომარ გაბრიჩიძის ნათელ ხსოვნას

2 აგვისტოს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ქიმიის კათედრის გამგე, პროფესორი ომარ გაბრიჩიძე 70 წლის გახდებოდა.

საყოველთაოდ ცნობილი იყო ომარ გაბრიჩიძის პრინციპულობა, პატიოსნება და ექიმის პროფესიისადმი უაღრესად მოკრძალებული დამოკიდებულება.

სწორედ ეს იყო უმთავრესი მიზეზი მეგობრებში, ნათესავებში, ახლობლებში ხელგაშლილი და გულღია კაცის, სტუდენტებისა და აბიტურიენტების მიმართ სამართლიანად მკაცრი დამოკიდებულებისა.

სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ მეგობრების გარდა, მისი აღზრდილები და დღეს უკვე სახელოვანი ექიმები დიდი სიყვარულით იგონებენ ომარ გაბრიჩიძეს.

რაც შეგვეხება ჩვენ, ომარ გაბრიჩიძის მეგობრებს, მუდამ ვამაყობდით მისი სამეცნიერო თუ პედაგოგიური მიღწევებით. ვამაყობდით და გვიხაროდა მასთან შეხვედრა.

ომარ გაბრიჩიძესთან ერთად გატარებული ყოველი დღე ჩვენი სამეგობროს ნათელი ფურცლებია.

დიდი მადლობა ომარ იმ სითბოსთვის, იმ სიყვარულისთვის, რაც ჩვენს მიმართ, ჩვენი სამშობლოს მიმართ გქონდა!

თენგიზ ძავთარაძე, თემურ კუჭუხიძე, თენგიზ კუჭუხიძე, რამაზ ხეცურიანი, ზაურ ფხალაძე, ზურაბ მსხვილიძე, თემურ მურღულია, ნოდარ უჯმაჯურიძე, ამირან ნიკოლეიშვილი

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ჩვენი კარაბადინი

პიკზე

განისაზღვრა ქალის სილამაზის პიკის ასაკი. სოციოლოგიურმა გამოკითხვამ, რომელიც ინგლისში 2 ათასი დედაკაცისა და მამაკაცის მონაწილეობით მოეწყო, აჩვენა, რომ უმრავლესობას მიაჩნიათ ქალები, რომლებიც 30 წელზე ოდნავ მეტი ხნისანი არიან, უფრო ახალგაზრდა ქალიშვილებს სჯობნიან გარეგნული მიმზიდველობით. მკვლევართა აზრით, ცნება „სილამაზე“ მოიცავს უნარს სწორად წარმოაჩინო თავი, აგრეთვე გონებასა და ხასიათს. რესპონდენტთა 70 პროცენტზე მეტი უმატებენ, რომ ქალის სილამაზე დაკავშირებულია მის რწმენასთან თავის თავში, 46 პროცენტმა კი აღნიშნა, რომ სილამაზე სტილის გარეშე არ არსებობს.

სხვათა შორის, გამოკვლევაში მონაწილე ქალების 65 პროცენტმა აღიარა, რომ ასაკთან ერთად სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას უთმობენ იმას, თუ რას ფიქრობენ გარშემომყოფები მათს გარეგნობაზე, ვინაიდან დარწმუნებული არიან საკუთარ თავში და შეუძლიათ თავისი თავის მოვლა.

წვეთი სისხლი

იაპონიაში **დაიწყო მოხალისეებისაგან სისხლის აღება მსოფლიოში პირველი არაემბრიონული წარმომავლობის ტანის უჯრედების საერთო-ეროვნული ბანკისათვის. კამპანიას აწყობს კიოტოს უნივერსიტეტთან არსებული საერთაშორისო წითელი ჯვრისა და არაემბრიონული წარმომავლობის იაპონიის ქვედანაყოფი ნობელის პრემიის ლაურეატის, პროფესორ სინია იამანაკას ხელმძღვანელობით. მან დაამუშავა ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას იძლევიან არაემბრიონული წარმომავლობის სხეულის უჯრედებისგან ჩამოაყალიბონ სხვადასხვა ორგანოს ჯანსაღი უჯრედები. ეს რეალურ პერსპექტივებს ხსნის ქსოვილებისა და მთელი ორგანოების გამოზრდისთვის დაავადებით დაზიანებულების სანაცვლოდ.**

გადაწყდა, გამოიყენონ განსაკუთრებული ტიპის სისხლის უჯრედები. ქვეყნის მოსახლეობას შორის ასეთი ბიოლოგიური მასალა აქვს იაპონელების მხოლოდ რამდენიმე პროცენტს. ვარაუდობენ ხუთი წლის განმავლობაში დააგროვონ მასალა, რომელიც მიესადაგება ქვეყნის მოსახლეობის 30-50 პროცენტს.

ფაქტს კომენტარს უკეთებს ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი კაპანაძე:

— არაემბრიონული წარმომავლობის უჯრედების ტექნოლოგია, რომელიც პროფესორმა იამანაკამ დაამუშავა, საშუალებას იძლევა პერსონალურად თითოეულისათვის მივიღოთ ემბრიონალურის ანალოგიური უჯრედები, რომლებიც შეიძლება გადავაქციოთ მოზრდილი ორგანიზმის სპეციალიზებული უჯრედების ნებისმიერ ტიპად, მაგრამ პერსონიზირებული მედიცინა მიუწვდომლად რჩება ისეთი განვითარებული და მდიდარი ქვეყნისთვისაც კი, როგორიც იაპონიაა. როგორც ქსოვილებისა და ორგანოების ჩვეულებრივი ტრანსპლანტაციის დროსაც, სისხლისგან მიღებული უჯრედების შემოღებისას, უნდა შევარჩიოთ შესაფერისი დონორი. იაპონიის მოსახლეობა გენეტიკურად არაა ძლიერ სხვადასხვაგვარი, ამიტომ იქ საკმარისია შევარჩიოთ უჯრედების დაახლოებით ასი იმუნური უჯრედი, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ქვეყნის მოსახლეობის 70-80 პროცენტისათვის.

ამავე დროს ამერიკელ მეცნიერთა უკანასკნელი სამეცნიერო გამოკვლევების შედეგები მეტყველებენ იმის შესახებ, რომ იმუნური შეთავსებულობის პრობლემები შეიძლება გადაიჭრას სხვა ხერხებითაც და შესაძლებელია არაემბრიონული წარმომავლობის ერთადერთი უჯრედების შექმნა, რომლებიც უნივერსალური იქნება ყველა გამოყენებისთვის.

ორფეოსის ხმა

ადამიანის ხმის მიმზიდველობა მისი პატრონის სექსუალურ აქტივობასთანაა დაკავშირებული, დაადგინეს ამერიკელმა მკვლევარებმა ოლბანის უნივერსიტეტიდან. მათ 149 ქალსა და მამაკაცს შესთავაზეს შეეფასებინათ ფირფიტაზე ჩაწერილი ხმების მიმზიდველობა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ლამაზი ხმების პატრონებმა სქესობრივი ცხოვრება დაიწყეს უფრო ადრეულ ასაკში, ჰყავდათ მეტი სქესობრივი პარტნიორი და იყვნენ ნაკლებად ერთგულნი. შესაძლებელია,

ეს აიხსნას იმით, რომ ხელოვნური განათების გამოგონებამდე ადამიანები იძულებული იყვნენ, შეეფასებინათ პარტნიორის სექსუალური მიმზიდველობა ხმის მიხედვით, მიაჩნიათ ევოლუციონერ ბიოლოგებს.

მკვლევარებმა ასევე აღმოაჩინეს კავშირი ხმის მიმზიდველობასა და სხეულის ტიპს შორის. სასიამოვნო ხმის მამაკაცებს აღმოაჩნდათ ფართო მხარბეჭი და ვიწრო მენჯი, ქალებს კი — ვიწრო წელი და განიერი თეძოები.

ნუ იფიქრებ უზმოზე

შიმშილის გრძნობა უბიძგებს ადამიანს სარისკო საქციელზე, ამტკიცებენ გერმანელი მეცნიერები მაქს პლანკის ინსტიტუტიდან.

შიმშილისა და ძღომის მომენტებისათვის პასუხისმგებელია ტვინის სხვადასხვა მონაკვეთები. ეს დაადასტურა ექსპერიმენტმა ხილის ბუზებზე. მათ ეშინიათ ნახშირმჟავა გაზისა, მაგრამ შიმშილის დროს მიდიან რისკზე, უახლოვდებიან საკვებს ამ გაზის არსებობის დროსაც კი.

ასევე იქცევა ადამიანთა ნერვული სისტემაც.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვყურადღებიანი ვართ ეპიდემიებთან

„შეიარაღებულ ძალებში საკვების უსაფრთხოების თვალსაზრისით საგანგაშო მდგომარეობაა“

— აცხადებს ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ლიდერი არჩილ კაიკაციშვილი, — ცოტა ხნის წინათ სხვადასხვა სამხედრო ნაწილში დაფიქსირდა ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები. მაგალითად, 2013 წლის 25 ივლისს სენაკის ბრიგადაში მოიწამლა 25 ჯარისკაცი. მივმართავთ თავდაცვის სამინისტროს, დააყენოს კვების უზრუნველყოფაზე კონტროლის კამპანიის პასუხისმგებლობის საკითხი, აუცილებელია მეტი სიცხადე და გამჭვირვალობა არსებობდეს კვებითი უსაფრთხოების სფეროში, ხოლო სამინისტრომ და მინისტრმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ ამ მიმართულებით.

„ახალი თაობა“

„უპასუხისმგებლო ნაბიჯი იქნება, თუ ივანიშვილი პოსტს დატოვებს

— თუ კოალიციამ პროცესი თვითდინებაზე მიუშვა, შესაძლოა, მეორე ტური მივიღოთ კიდეც, — ამბობს პოლიტიკის ექსპერტი, საკონსტიტუციო კომისიის წევრი ვახტანგ ძაბირაძე არჩევნების სავარაუდო შედეგებზე საუბრისას და დასძენს, რომ მეორე ტური ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება. ივანიშვილის განცხადების შესახებ ძაბირაძე ამბობს, რომ მისი წასვლით შეიძლება ისეთი დაპირისპირება მივიღოთ, როგორიც საქართველოში ჯერ არ ყოფილა. რამდენჯერმე ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, რომ აბსოლუტურად უპასუხისმგებლო ნაბიჯი იქნება, თუკი ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტს დატოვებს. მაშინ საერთოდ არ უნდა ჩართულიყო პოლიტიკაში.

„რეზონანსი“

ვინ უშლის ხელს ლაფანყურის სპეცოპერაციის საძმის გახსნას?

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი საქართველოს პარლამენტს მიმართავს, ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნას. თუკი პარლამენტი უარს იტყვის კომისიის შექმნაზე, მაშინ საზოგადოებრივი კომისია შეიქმნება, რომელიც კომპეტენტური ადამიანებით დაკომპლექტდება. — მე მეჩვენება, რომ ამ საქმის გამოძიებას ხელს უშლიან. გამოძიების საქმეში მონაწილეობენ ადამიანები სხვადასხვა უწყებიდან, რომლებსაც თვითონ აქვთ გარკვეულ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებში მონაწილეობა მიღებული და, აქედან გამომდინარე, არ მიჰყავთ გამოძიება იმ მხარეს, საითაც უნდა წავიდეს, — ამბობს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე.

„ალია“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ინცხალი ანეკდოტები

— როგორ მოვიქცე, არ ვიცი. დაქორწინება მინდა, მაგრამ დედაჩემისა ვერაფერი ვერ გავიგე. ჩემი მოწონებული არც ერთი გოგო არ მოსწონს.

— როგორ უნდა მოიქცე და, ძალიან უბრალოდ. იპოვე დედაშენის მსგავსი.

— ესეც ვცადე და ვიპოვე კიდეც, მაგრამ ახლა მამაჩემმა ატეხა ამბავი!!!

* * *

— ძვირფასო, დიდძალი ფულის შოვნა შეგვიძლია, — ეუბნება ქმარი ცოლს. — ცირკს სასწრაფოდ სჭირდება ნომერი — „სქესობრივი ცხოვრება არენაზე“.

— მაგრამ მაყურებელმა ბისზე რომ მოისურვოს ნომრის გამეორება?

* * *

— ეძიმო, ალბათ, ნამდვილად სექსუალური მანიაკი ვარ.

— რატომ გგონიათ ასე?

— როგორც კი ლამაზ ქალს დავინახავ, შარვალში მაშინვე ქარის ქროლას ვგრძნობ.

— არ გიცდიათ, რომ ხანდახან მაინც შეგეკრათ ხვანჯარი?

* * *

— შენი ორგანიზმი ნორმალურად რეაგირებს კრაზანის კბენაზე?

— არა, სულ დედას იგინება!

* * *

— გოგონა, გიყვართ ცხოველები?

— ძალიან.

— ჰოდა, მეც აქა ვარ! უსახლკარო ცხოველუკა.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24